# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 25 სექტემბერი 2003 №181 (1952) ფასი 50 თეთრი




# 54:0

# მსოფლიოს თასზე მოფიქრალი დიმიტრი იაშვილი ძმას და საქართველოს ქომაგობს

## 8 ლელო
## 7 გარდასახვა
## სორელი ანგარიშმა კი არა, თამაშმა გააღიმა

ინტერვიუ კლოდ სორელთან იხილეთ მეთხუთმეტე გვერდზე



## მამალ იაშს LELOS მაისურა უნდა

ინტერვიუ დიმიტრი იაშვილთან
იხილეთ მეთხუთმეტე გვერდზე

# ბოლნისის პუხოვმა ბარსელონას გაუერთიანა

*ლამის ასგუნდა უეფას თასზე გუშინ ოთხმა ქართველმა ითამაშა. მოგებით არცერთს გაუხარია. დონბასელ „მეტალურგებს“ „პარმასთან“ საშინაო ფრისთვის არავინ დასძრახავს, ის კი არა, დემეტრაძე-ჯამარაულის გუნდი კარგა ხანს უგებდა უეფას თასის ერთ-ერთ ფავორიტს. მეორე ტაიმში ვილი ფრემმა ორივე ჩვენებური შეცვალა, მაგრამ ამათ რაც შეეძლოთ, უკეთებიათ.*

*1:1 ითამაშა ლევან გვაზავას „ზიმბრუმ“ ბერძნულ „არისთან“. გვაზავას 90 წუთი თავი არ დაუზოგავს, მაგრამ საპასუხო მატჩის წინ ერთობ მწირია მისი გუნდის შანსი.*

*ქართველთაგან გუშინ მხოლოდ გიორგი ნემსაძე დამარცხდა. ეროვნული ნაკრების კაპიტანს იტალიელებთან ჭიდილი მოუხდა — „პერუჯამ“ კლასით და გამოცდილებით აჯობა „დანდის“.*

*უეფას თასის პირველმა ეტაპმა პირველი სენსაციებიც მოიყოლა. დღეს თავაწეულნი ივლიან ბოლნისელები — „პუხოვს“ ჩვენ რას დავაკლებდით, დიდმა „ბარსელონამ“ ვერაფერი მოუხერხაო.*

*თურქეთ — ინგლისის საფეხბურთო ომი გრძელდება. „გენჩლერი“, რომლის არსებობაც გუშინ აღმოაჩინა ბევრმა ინგლისელმა, საშინაო მატჩში „ბლექბერნს“ გაუსწორდა.*

*რობი ფაულერის მეცადინეობით კი თითქმის წაგებული თამაში შემოატრიალა „მანჩესტერ სიტიმ“.*




REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერ სიტი — ლოკერენი 3:2. ნიკოლა ანელკამ „ლოკერენი“ იქით დაჩოქა

# უეფას თასი 2003-2004

## პირველი ეტაპი. პირველი მატჩები

მეტალურგი (დონეცკი, უკრაინა) 1:1 პარმა (იტალია)
1:0 შიშჩენკო (44), 1:1 ადრიანო (67)
მეტალურგი: ნიკიტინი, იაკსმანიცკი, ბექირი, ჩეჩერი, ციხმეისტრუკი, მელიქიანი, ტკაჩენკო, გიუზელოვი, ჯამარაული (პონომარენკო 70), შიშჩენკო (ოლექსიენკო 75), დემეტრაძე (დრანოვი 89)
მწვრთნელი: ვილემ ფრეში
მსაჯი: ტონი პოულსენი (დანია)
14 000 მაყურებელი

სპარტაკი (რუსეთი) 2:0 ესბიერგი (დანია)
1:0 პავლენკო (14), 2:0 კალინიჩენკო (33)
სპარტაკი: კოვალევსკი, მოიზესი, ვაშჩუკი, კოვტუნი, კებე (მიტრესკი 46), ტრობოკი (რუსო 85), კალინიჩენკო, ტიტოვი, პავლენკო, პიანოვიჩი, პავლიუჩენკო (დანიშევსკი 76)
*გიორგი ლომაია სათადარიგო იყო*
მწვრთნელი: ვლადიმირ ფედოტოვი
მსაჯი: პეტერი კარი (ფინეთი)
6 500 მაყურებელი

ზიმბრუ (მოლდოვა) 1:1 არისი (საბერძნეთი)
0:1 მალუსი (25), 1:1 ბალაშა (57)
ზიმბრუ: მულტესკუ, ოლექსიკი, ბულგარუ, ოპრია, გევზავა, ჩებოტარი, ეპურიანუ (დრაგოვოზოვი 46), ბალაშა, ბასტინა (ბუკროვში 46), პიშნიკი, შიშელოვი (ფრუნზა 68)
მწვრთნელი: სერგეი სირბუ
მსაჯი: დრაჟენკო კოვაჩიჩი (ხორვატია)
5 000 მაყურებელი

დანდი (შოტლანდია) 1:2 პერუჯა (იტალია)
0:1 დი ლორეტო (50), 1:1 ნოვო (64), 1:2 ფუზანი (84)
დანდი: სპერონი, მაკეი, უილკი, მაირი (კოვენი 87), ერნანდესი, სმიტი, რაე, ნემსაძე, სარა (ბრედი 60), ლოველი, ნოვო
მწვრთნელი: ჯიმ დაფი
მსაჯი: ჟელკო სირიჩი (ხორვატია)
9 911 მაყურებელი

ჰაპოელი (რამათ განი, ისრაელი) 0:1 ლევსკი (ბულგარეთი)
ცსკა (ბულგარეთი) 1:1 ტორპედო (რუსეთი)
პანიონიოსი (საბერძნეთი) 2:1 ნორდსიელანდი (დანია)
სარტიდი (სერბეთი) 1:2 სლავია (ჩეხეთი)
გენჩლერი (თურქეთი) 3:1 ბლექბერნი (ინგლისი)
მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) 2:1 პუბლიკუმი (სლოვენია)
დინამო (ხორვატია) 3:1 მტკ (უნგრეთი)
ჰერტა (გერმანია) 0:0 გროცლინი (პოლონეთი)
ბრონდბიუ (დანია) 1:0 ვიქკოვი (ჩეხეთი)
ცემენტარნიცა (მაკედონია) 0:1 ლანსი (საფრანგეთი)
მიუპა (ფინეთი) 0:1 სოშო (საფრანგეთი)
ზალცბურგი (ავსტრია) 0:1 უდინეზე (იტალია)
ვოლერენგა (ნორვეგია) 0:0 გრაცერი (ავსტრია)
ვარტექსი (ხორვატია) 1:3 დებრეცენი (უნგრეთი)
კაიზერსლაუტერნი (გერმანია) 1:2 ტეპლიცე (ჩეხეთი)
უტრეხტი (ჰოლანდია) 2:0 ჟილინა (სლოვაკეთი)
ლეირია (პორტუგალია) 1:0 მიოლდე (ნორვეგია)
დინამო (რუმინეთი) 2:0 შახტარი (უკრაინა)
გაზიანთეპი (თურქეთი) 1:0 ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი)
მალათია (თურქეთი) 0:2 ბაზელი (შვეიცარია)
პუხოვი (სლოვაკეთი) 1:1 ბარსელონა (ესპანეთი)
ვენტსპილსი (ლატვია) 1:4 რუსენბორგი (ნორვეგია)
გრასჰოპერი (შვეიცარია) 1:1 ჰაიდუკი (ხორვატია)
ლუვიე (ბელგია) 1:1 ბენფიკა (პორტუგალია)
ოდენსე (დანია) 2:2 ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)
ფერენცვაროში (უნგრეთი) 1:1 კოპენჰაგენი (დანია)
ოლიმპია (სლოვენია) 1:1 ლივერპული (ინგლისი)
აიკ (შვედეთი) 0:1 ვალენსია (ესპანეთი)
აპოელი (კვიპროსი) 1:2 მალიორკა (ესპანეთი)
პაოკ (საბერძნეთი) 0:1 ლინი (ნორვეგია)
აუსტრია (ავსტრია) 1:2 დორტმუნდი (გერმანია)
რომა (იტალია) 4:0 ვარდარი (მაკედონია)
ოსერი (საფრანგეთი) 1:0 ქსამაქსი (შვეიცარია)
ჰართსი (შოტლანდია) 2:0 ჟელეზნიჩარი (ბოსნია)
ნიუკასლი (ინგლისი) 5:0 ბრედა (ჰოლანდია)
საუთჰემპტონი (ინგლისი) 1:1 სტიაუა (რუმინეთი)
მანჩესტერ სიტი (ინგლისი) 3:2 ლოკერენი (ბელგია)
სპორტინგი (პორტუგალია) 2:0 მალმიო (შვედეთი)
ვილიარეალი (ესპანეთი) 0:0 ტრაბზონი (თურქეთი)

### ინგლისი

**ლიგის თასი. II ეტაპი**

ძოვენთრი 0:3 *ტოტენჰემი*
*ლიდსი* 2:2დ.დ.(პენ.4:3, 2:2) სუინდონი
ოქსფორდი 1:3 *რედინგი*
*ბოლტონი* 3:1 უოლსოლი
*ევერტონი* 3:0 სტოკპორტი
*მიდლსბრო* 1:0დ.დ.(0:0) ბრაიტონი

### შვედეთი

**ალსვენსკა. XVIII ტური**

გიოტებორგი 1:0 იურგორდენი

**სუპერეტა. XXIII ტური**

ასირისკა 3:1 ფრიოლუნდა

### ფინეთი

**ვეიკაუსლიგა**
**გადადებული მატჩები**

ტამპერე 1:3 ლაჰტი
ინტერი 5:2 ალიანსი

### ავსტრია

**თასის II ეტაპი**

კრემსი 2:3 *რაპიდი*

### დანია

**თასის IV ეტაპი**

ბ-1913 0:1 *ბ-93*
*ნიკიოპინგი* 4:0 ნორდიულანდი
*ვიბორგი* 1:0 ორჰუსი
*სილკებორგი* 4:2 ჰერფიოლგე
კიოგე 1:1დ.დ.(პენ.3:4, 1:1) *აკადემისკი*
რანდერსი 3:4 *იოლსტიკე*
მიდტიულანდი 0:1 *ფრემი*
*სკივე* 3:2 ჰოლსტებრო
*ჰელსინგიორი* 2:0 იეტსმარკი

### საფრანგეთი

**ლიგის თასი**
**I ეტაპი**

*სენტ ეტიენი* 1:0 რუანი
ამიენი 0:1 *ნანსი*

### შოტლანდია

**ლიგის თასი**
**II ეტაპი**

*დანფერმლაინი* 2:0 კოუდენბითი
პიტერჰედი 2:2დ.დ.(პენ.3:4, 1:1) *პარტიკი*

# ვინ შეცვალა 1:0...
# გამოვიდა ადრიანო და...



*გოჩა ჯამარაულისა და გიორგი დემეტრაძის დონეცკის „მეტალურგმა" გუშინ უეფას თასის პირველ ეტაპზე ამ თასის უწინდელ მფლობელს, იტალიურ „პარმას" უმასპინძლა და ფრედ ითამაშა. ფრეცაა და ფრეც, როგორც ჩანს, უკრაინელთა ჰოლანდიელ მწვრთნელ ვილემ ფრეშს შესვენებისას უფრო თამამი გადაწყვეტილება რომ მიეღო, ეგებ ჩვენების გუნდიც პარმაში საპასუხო მატჩისთვის მოგებული წასულიყო*

— შესვენებამდე „პარმას" ერთი თავით ვაჯობეთ, ჩვენი მეკარე, ფაქტობრივად, უსაქმოდ იყო, თამაში იტალიელთა ნახევარზე მიდიოდა — გვითხრა **გოჩა ჯამარაულმა**, როცა ნამატჩევს დონეცკში დავუკავშირდით — გოლი ხომ გავიტანეთ და ორი-სამი ნაღდი მომენტიც გაგვიცუდდა.

— მეორე ტაიმში პირიქით იყო?

— მეორე ტაიმშიც გვქონდა რამდენიმე კარგი მომენტი, მაგრამ, მაინც, „პარმამ" აშკარად დაგვჩაგრა. შესვენებაზე მწვრთნელმა ანგარიშის შენარჩუნებაზე თამაში დაგვავალა და ჩვენც მთელი გუნდით თავს ვიცავდით. გოლს რამდენჯერმე გადავურჩით, მაგრამ შეცვლაზე შემოსულ ადრიანოს ველარ გავუმკლავდით. მოედანზე ორი წუთის გამოსული იყო ადრიანო, თავურით რომ გაათანაბრა.

— შენ რატომ შეგცვალეს?

— საზარდულმა შემაწუხა და თამაშის გაგრძელება ველარ შევძელი.

— სერიოზული ტრავმაა?

— არც ისე, ერთი-ორი კვირა დასვენება მჭირდება, თანაც უკრაინის ჩემპიონატში ძალიან გადატვირთული კალენდარი გვაქვს და იმის ძალა აღარ მაქვს, ბოლომდე ვითამაშო.

— „მეტალურგმა" გოლი უშენოდ გაიტანა?

— აბა, ეგ როგორ იქნებოდა... ჯარიმა დემეტრაძის წაქცევისთვის დაინიშნა, მე კი საჯარიმოში ჩავაწოდე, სადაც ბურთს შიშჩენკო დაუხვდა და საგოლედ დაარტყა. კარგი იქნებოდა, პარმაში მოგებულები წავსულიყავით.

— **საპასუხო მატჩის წინ შემდეგ ეტაპზე გასვლის იმედი აღარ გაქვთ?**

— რა ვიცი, ძალიან გაგვიჭირდება, სასწაული უნდა მოხდეს, პარმაში მატჩი ჩვენთვის სასურველი ანგარიშით რომ დამთავრდეს. ძალიან ძლიერი მეტოქე შეგვხვდა. დონეცკში „პარმამ" ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელი დაასვენა, მათგან ერთი შეცვლაზე გამოვიდა და გოლიც წუთში გაგვიტანა.

**კობა ინასარიძე**

# პერუჯას ორიდან ორი რავანელის კომპლიმენტით

*შოტლანდიურმა „დანდიმ" კარგა ხნის განშორების შემდეგ კვლავ მოსინჯა ევროსარბიელზე ძალა. სამწუხაროდ, გიორგი ნემსაძის გუნდმა იტალიურ „პერუჯასთან" უეფას თასის პირველი ეტაპის პირველ მატჩში ვერ ივარგა, აპენინელებმა დი ლორეტოსა და ფუზანის გოლების წყალობით მოიგეს.*

*საქართველოს ეროვნული გუნდის კაპიტანს ნამატჩევს დანდიში დავუკავშირდით*



— ფაქტობრივად, არწასაგები თამაში დავთმეთ. ორივე ტაიმში საგრძნობ უპირატესობას ვფლობდით, მომენტებიც საკმაოზე მეტი შევქმენით, მაგრამ რაღ გინდა, ერთის მეტი ვერ შევაგდეთ. „პერუჯამ" გამოცდილებით, კლასის ხარჯზე გვაჯობა.

— **ევროთასებზე თამაშის დიდი გამოცდილება არც „პერუჯას" აქვს...**

— კი, მაგრამ, იტალიური ფეხბურთი მაინც სხვაა, შოტლანდიურს გაცილებით სჯობს.

— **თქვით, წასაგები თამაში არ იყო, მეტოქეს ვაჯობეთო, გოლები კი თქვენ გაუშვით...**

— ფაქტობრივად, ორჯერ შემოგვიტიეს და ორჯერვე გაგვიტანეს. მეორე ხომ საერთოდ სულელურად გავუშვით, ჩვენმა მეკარემ ბურთი მეტოქეს, რომ იტყვიან, ჩააბარა, მოიერიშეს მოქნეულს კი ჩავუწექი, მაგრამ რიკოშეტით წასული ბურთი ფლანგიდან საჯარიმოში შემოვარდნილ ფუზანის მიუვიდა და მანაც რბილად, მეკარისგან შორეულ ცხრიანში აჭრა.

— **მწვრთნელმა ჯიმ დაფმა რა გითხრათ...**

— შედეგმა ყველას გული დაგვწყვიტა, თუმც დაფი ჩვენი თამაშით მაინც კმაყოფილი იყო, ჯიგრიანად იბრძოლეთო.

— **წინ საპასუხო მატჩი გელით, „დანდის" შანსებს როგორ შეაფასებთ?**

— ცხადია, გაგვიჭირდება, მაგრამ არც პერუჯაში მოგებაა უძნელესი. მეტოქეს ასე თუ ისე, ვიცნობთ. ერთი სიტყვით, ვფიქრობ, ჯერ ყველაფერი წინაა, ყველანი იმედიანად ვართ.

— **შეხვედრას ტრიბუნიდან ახალწვეული ფაბრიციო რავანელიც ადევნებდა თვალს. ჭაღარა იტალიელი კი წარმოშობით პერუჯელია...**

— ვხვდები, რასაც გულისხმობთ. ფაბრიციო პროფესიონალია, „დანდის" ფეხბურთელი და უკვე მისი ინტერესების დამცველი. ცხადია, ჩვენ გვქომაგობდა, ეს გულწრფელად ნამატჩევსაც აღნიშნა.

— **დაუახლოვდით?**

— ორი დღეა, რაც ერთად ვართ, ვივახშმეთ და ერთმანეთში იტალიურადაც ვისაუბრეთ. ძალიან კარგი პიროვნებაა, საერთო ენაც ადვილად გამოვნახეთ, ისეთი მენტალიტეტი აქვს, ქართველებსაც რომ გვახასიათებს.

— **ალბათ, იტალია — საქართველოს 1996 წლის პერუჯულ მატჩს და მის მიერ ჩვენს კარში გატანილ ერთადერთ გოლსაც გაახსენებდით...**

— რა თქმა უნდა, ძალიანაც ესიამოვნა. ყველაფერი შევახსენე, ის მომენტიც, გოლი თავით ტაიმის მიწურულს რომ გაგვიტანა. გაუხარდა და კომპლიმენტები აქეთ მითხრა, საქართველოს ნაკრებზე წარმოდგენა საერთოდ არ გვქონდა და თქვენი თამაში ერთობ მოულოდნელი და სასიამოვნო სიურპრიზი იყო, იმ დროს, კარგი გუნდი გყავდათო.

**გიორგი გაშაძიძე**



ზურაბ იონანიძემ (№2) უკრაინაში ფეხი კარგად ვერ გაშალა

*სიმფეროპოლის „ტავრია" და მისი ქართველი მეკოლე ზურაბ იონანიძე ძველებურად ვეღარ ყოჩაღობენ. ცხრა ტურში ტავრიელებმა ერთადერთი მატჩის მოგება შეძლეს და სატურნირო ცხრილში მეცამეტე ადგილზე არიან.*

*ზურაბ იონანიძეს გუშინ უეფას თასზე დონეცკის „მეტალურგისა" და იტალიური „პარმას" მატჩის დასრულებისთანავე შევეხმიანეთ და მისი ამბების გარდა ჯამარაულ-დემეტრაძის თამაშზეც დავეკითხეთ...*

# იონანიძეს ჯადოს ჭანტურია მოუხსნის

— ბოლო ტურში „დნიპროსთან" წავაგეთ და მდგომარეობა ძალიან გავიუარესეთ. ასე თუ გავაგრძელეთ, უმაღლესი ლიგიდან გავარდნის კანდიდატები ვიქნებით. რაღაცნაირად დათარსულები ვართ.

**— მაინც რისი ბრალია „ტავრიას" ასეთი სუსტი თამაში?**

— არ გვიმართლებს. რამდენიმე მოსაგები თამაში გვქონდა და ყველამ მოვისუსტეთ. „დნიპროსთანაც" არ მეგონა თუ წავაგებდით, მაგრამ მეკარემ ისეთი ბურთები გაუშვა, რომ...

**— ესე იგი, გია ჭანტურიას შანსი გაუჩნდა?**

— მგონი გია მომავალ ტურშივე ჩადგება „ტავრიას" კარში. მან უკვე ყველანაირი პრობლემა მოაგვარა და იმედია მალე დაგვეხმარება.

**— შოთა ჩომახიძე რატომ არ თამაშობს?**

— ტრავმა აქვს და მკურნალობს.

**— ტრავმის გამო შენც გამოტოვე ერთი მატჩი...**

— ჰო, მცირე ტრავმა იყო და უკვე მოვირჩინე. ახლა არაფერი მაწუხებს.

**— რას გეგმავთ ამ სეზონში?**

— ხელმძღვანელობას კონკრეტული მიზანი არ დაუსახავს ჩვენთვის. რაც უფრო მაღალ ადგილზე გავალთ, მით უკეთესი.

**— რამდენიმე წუთის წინ „მეტალურგი" — „პარმას" შეხვედრა დამთავრდა. ალბათ, შენც უყურე...**

— რა თქმა უნდა, ვნახე. დემეტრაძე და ჯამარაული, ცხადია, ძირითად შემადგენლობაში იყვნენ და ძალიან კარგადაც ითამაშეს.

**— უპირატესობა ვის ჰქონდა?**

— დონეცკელები 1:0 იგებდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში „პარმა" უკეთესად თამაშობდა. იტალიელებმა ანგარიშის გათანაბრებაც შეძლეს და უფრო მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ მოიგებდნენ კიდეც. ისე კი, ცუდად არც დემეტრაძე-ჯამარაულის „მეტალურგს" უთამაშია.

**ქახა შალამბერიძე**

# სატურნი გაუგებარია, სპარტაკი გარდაუვალი

## აბრამიძემ ყაზანელები ტყუილში გამოიჭირა

*„ურალან" — „რუბინის" მატჩმა რუსეთში გვარიანი ხმაური გამოიწვია. ყაზანელთა პრეზიდენტმა ვერმოგებული თამაშის შემდეგ კბილი მსაჯებს გაჰკრა, სანამ მასპინძლებმა გოლი არ გაგვიტანეს, თამაში არ დაამთავრაო.*

*ეს მატჩი რომ დაძაბული იქნებოდა, იმთავითვე ცხადი იყო: „ურალანი" პრემიერლიგაში დარჩენისთვის იბრძვის, „რუბინს" კი შანსი აქვს, თავის სადებიუტო სეზონში ჩემპიონთა ლიგის თუ არა, უეფას თასის საგზური მაინც მოიპოვოს.*

*ერთი სიტყვით, ამ და სხვა ამბების გასაგებად გუშინ ელისტაში ვალერი აბრამიძეს დავუკავშირდით...*

**— „რუბინს" 1:1 ეთამაშეთ, მაგრამ ფრე არც თქვენ გაძლევდათ ხელს და არც სტუმრებს. მატჩიც სკანდალური გამოდგა. რუსულ პრესაში ყაზანელთა ხელმძღვანელობის მუქარაც გაისმა. მართლა ამხელა ამბავი მოჰყვა ამ მატჩს?**

— იყო რაღაც უსიამოვნო წერილები პრესაში, მაგრამ სინამდვილეში მსგავსი არაფერი მომხდარა. მსაჯმა ოთხი წუთი დაამატა და მესამეზე გოლი გავიტანეთ. ქულაც სამართლიანად მოვიპოვეთ. ამიტომ ამხელა ხმაურის ატეხვა საჭირო არ იყო. მაგრამ „ყაზანელებს" სათქმელი რომ არაფერი ჰქონდათ, ხელები მსაჯს შეახოცეს. აბა, სხვა რა უნდა ექნათ? ვერმოგებული თამაშის მსაჯისთვის გადაბრალება ყველაზე იოლია.

**— ელისტურ ამბებზეც გვითხარი. როგორ შეეგუე ახალ გუნდს?**

— მთავარია, ვთამაშობ. ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის პრობლემა არ მაქვს და ეს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

**— მაგრამ დიდხანს არც მანდ ჩერდები...**

— ჰო, „სპარტაკმა" „ურალანში" სეზონის ბოლომდე გამანათხოვრა. ჩემპიონატი დასრულდება და „ურალანსაც" დავტოვებ.

**— „სპარტაკში" ოლეგ რომანცევი კარგი თვალით გიყურებდა. ახლა ის „სატურნის" მწვრთნელად დაინიშნა. ხომ არ არის შესაძლებელი, შენც „სატურნში" აღმოჩნდე?**

— სიმართლე გითხრათ, ამის შესახებ არაფერი გამიგია.

**— ანდრეი ჩერნიშოვის გადადგომის შემდეგ ალბათ „სპარტაკში" დაბრუნებაც არაა გამორიცხული...**

— რა თქმა უნდა, ეს ასეც იქნება. მე ხომ „სპარტაკის" საკუთრება ვარ.

**— ვინმე შეგეხმიანა?**

— არა. რა საჭიროა ჯერ ამის გაკეთება. „ურალანში" ვარ განათხოვრებული და სეზონის ბოლომდე არავინ წამიყვანს აქედან. კონტრაქტი როგორც კი დასრულდება, მაშინვე „სპარტაკში" დავბრუნდები. მერე რა მოხდება, არ ვიცი, წინასწარ მაგაზე ფიქრით თავს არ ვიკლავ.

**— „ურალანი" ახლა სახიფათო ზონაშია. როგორ შეაფასებ ამ გუნდის პრემიერლიგაში დარჩენის შანსს?**

— მართალია, ბოლოსწინა ადგილზე ვართ, მაგრამ უფრო მეტს ვიმსახურებთ. „ურალანი" კარგი გუნდია და პრემიერლიგაში აუცილებლად უნდა დავრჩეთ.

**ქახა შალამბერიძე**



ვალერი აბრამიძეს (№44) თამაში უხარია

FIFA WORLD RANKING

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | ბრაზილია | 855 | 14 | 15 | დანია | 708 |
| 2 | 2 | საფრანგეთი | 829 | 16 | 18 | ბელგია | 692 |
| 3 | 3 | ესპანეთი | 767 | 17 | 16 | პორტუგალია | 687 |
| 4 | 6 | არგენტინა | 750 | 18 | 20 | შვედეთი | 684 |
| 5 | 4 | მექსიკა | 746 | 19 | 17 | კოსტა რიკა | 681 |
| 6 | 8 | ინგლისი | 745 | 20 | 19 | რუმინეთი | 663 |
| 7 | 4 | ჰოლანდია | 744 | | | | |
| 8 | 7 | თურქეთი | 743 | 28 | 38 | რუსეთი | 629 |
| [illegible] | 12 | ჩეხეთი | 736 | | | | |
| 9 | 10 | გერმანია | 736 | 44 | 40 | შვეიცარია | 581 |
| 11 | 9 | აშშ | 731 | | | | |
| 12 | 11 | იტალია | 726 | 81 | 91 | საქართველო | 485 |
| 13 | 13 | კამერუნი | 710 | | | | |
| 14 | 13 | ირლანდია | 708 | 86 | 89 | ალბანეთი | 472 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

# ალბანეთმა საქართველო ასწია

**სექტემბერში** საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა დიდი სირცხვილი ჭამა. მერაბ ჟორდანიას გუნდი ტირანაში გაბითურდა და ოფიციალურად შეეშვა საპორტუგალიო ფიქრებს. როგორც ჩანს, ფიფაში მწვრთნელ-ჟორდანიასი სჯერათ და საქართველოს ნაკრებში დიდ პოტენციალს ხედავენ, ანაც კოკა-კოლა საქართველოს ფილიალის მუშაობით დიდად კმაყოფილია. სხვაგვარად რა უნდა ვიფიქროთ, როცა სექტემბრული სირცხვილის შემდეგ ფიფა — კოკა-კოლას ერთობლივ სარეიტინგო ცხრილში საქართველო 81-ეა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ალბანეთთან მარცხის შემდეგ ერთბაშად ათი საფეხურით ავიწიეთ სარეიტინგო ცხრილში. საქართველოში ფეხბურთს ვერ ვხედავთ და... ცხრილებისას რას გაიგებს კაცი.

**ბაატა ძვანტალიანი**



ფარნაოზ კუსრაშვილი

# ფარნაოზი იწყებს, საქართველო იგებს

**სომხური** ვოიაჟის მეორე მატჩში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა 2:0 დაამარცხა მასპინძელი თანატოლები. ქართველებმა ფარნაოზ კუსრაშვილის მე-14 და თენგიზ ბარამიძის მე-60 წუთებზე გატანილი გოლებით იმარჯვეს.

შეგახსენებთ, პირველ მატჩში ქართველები 0:1 დამარცხდნენ სომხებთან. მასპინძელთაგან ლავი ედგარ მანუჩარიანმა გამოიჩინა. მოგებულ შეხვედრაში კი გელა გომელაურმა გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა: *რევიშვილი, ტომარაძე (ყრუაშვილი 60), კაკაბაძე, ოქრუაშვილი, უმფრიანი, ვერულაშვილი (მიმინოშვილი 20), ზივზივაძე, ბარამიძე (დევდარიანი 75), კუსრაშვილი (ნადირაძე 45), ხოხონიშვილი (ჩირიკაშვილი 65), განუგრავა (მოდებაძე 63)*

# პატივი ეცი მამის ტრუსიკის ძმაკაცებს
## ერთ ტყებუჩავას ერთი, მეორეს ორი

ევროპული ჩემპიონატის ბოლო ტურში მომხდარი სკანდალური ამბები სადისციპლინო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე სახალისო ვითარებაში გაირჩა.

სხდომის მთავარი საკითხი „ტყებუჩავების საქმე“ იყო. ჟურნალისტები ველოდით, რომ ყოველივე „ბრალდებულებთან“ ერთად გაირჩეოდა. მსგავსი არაფერი მომხდარა. მეტიც, გუშინდელ სხდომაზე ისეთი ხალხი მოეწვიათ, სათქმელი არაფერი ჰქონდათ. აკი განაცხადა კიდეც „ვიტ ჯორჯიას“ ტექნიკურმა დირექტორმა მალხაზ კაკაურიძემ, მე რა უნდა გითხრათ, ჩემი გუნდის ფეხბურთელები აქეთ ცდილობდნენ სიტუაციის განეიტრალებასო.

საკვირაო „ვიტ ჯორჯია“ — „ლოკომოტივმა“ დიდი ხმაური მოიყოლა. რკინიგზელები მსაჯებს დაერივნენ და გამშველებლებს რომ არ ეყოჩალათ, რევაზ არველაძის თანაშემწე — გოჩა ტყებუჩავა მატჩის არბიტრ ლევან ფანიაშვილს უთუოდ „გაალამაზებდა“. ასეთ საქმეს არჩევდნენ გუშინ და საოცარია, როგორ არ უხმეს ლოკომოტიველებს.

მომხდარზე დეტალურად ისაუბრა მატჩის დირექტორმა მამუკა კვარაცხელიამ — თხუთმეტი წელია, ტყებუჩავასთან ვმეგობრობ და ასეთი რამ არასდროს გაუკეთებია. გაითიშა კაცი და სამარცხვინო საქციელი ჩაიდინა — მკაცრად არის დასასჯელიო. კვარაცხელიას იმის თქმაც არ დავიწყებია, რომ ტაიმებს შორის მომხდარი ინციდენტი რევაზ არველაძის პროვოცირებული იყო და მსაჯებს „ლოკომოტივის“ ვიცე-პრეზიდენტმა ტარიელ ღვაბერიძემაც ურჩია საქმე.

„ვიტ ჯორჯია“ — „ლოკომოტივს“ სფფ-ის ინსპექტორიც ჰყავდა. ეს კაცი ძველი მსაჯი ელგუჯა სილაგავა გახლდათ. სილაგავა გუშინდელ სხდომაზე არ ყოფილა, მაგრამ მისმა მოხსენებითმა ბარათმა დიდი ჟრიამული გამოიწვია. ნაწყვეტი სილაგავას „შედევრიდან“. „...რეზო არველაძემ მსაჯებისკენ გაიწია, მაშინვე წინ გადავუდექი, რეზო, რას სჩადი-მეთქი. ვერაფერს რომ ვერ გავხდი, შე კაცო, ბოლოს და ბოლოს, მამაშენის ტრუსიკის ძმაკაცი ვარ მეთქი, ვუთხარი. ტრუსიკის ძმაკაცი, არა, ისო...“

მოკლედ, სილაგავას ვერ შეუგდია ნამუსზე არველაძე და მერე გოჩა ტყებუჩავა გაჰკიდებია ფანიაშვილს.

ვიტჯორჯიელებმა ჩვენთან ერთად დიდი წილი დაიდეს ამ კონფლიქტის განეიტრალებაში, ღირსეულად იქცეოდნენ ვეტერინარები, არადა, საპრეტენზიო იქეთ ჰქონდათ, რაკილა ფანიაშვილმა ერთ-ერთ ეპიზოდში აშკარა პენალტი არ დანიშნა მათ სასარგებლოდ — ესეც თქვა მამუკა კვარაცხელიამ და განაჩენის ჯერი დადგა.

არველაძის და ღვაბერიძის გარჩევები არავის გახსენებია, უცებ თქვეს, ამათ გაფრთხილება ვაკმაროთო და ტყებუჩავას დასჯას შეუდგნენ. მე მაქვს სათქმელიო, თქვა სადისციპლინო კომიტეტის წევრმა, დიდმა დინამოელმა თენგიზ სულაქველიძემ და უცებ ყველას სიცილი აუტყდა. საერთო ჟრიამულში გაიხსენეს გოჩა ტყებუჩავას წლების წინანდელი „მიქარვა“ — ლოკომოტიველი მწვრთნელი მაშინ მოსკოვის „დინამოში“ თამაშობდა და თბილისის „დინამოსთან“ მატჩისას ზურგსუკან მდგარმა ქართულად დაუძახა სულაქველიძეს, ბურთი გაატარეო, თენგიზიც აიჭრა მშობლიურის გაგონებაზე და იმ შეტევისას ტყებუჩავამ ლამის გოლი გამოაცხო მოსკოველთათვის. თუმც ის აღარ გაუხსენებიათ, ხუთი წუთის შემდეგ სულაქველიძის მიერ ფეხმოტეხილი საბრალო ტყებუჩავა გასახდელში რომ გაჰყავდათ.

მოკლედ, ასე სიცილ-ხარხარში მისცეს ლოკომოტიველ მწვრთნელს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია. სკანდალის აგორებისთვის კი „ლოკომოტივი“ 1000 ლარით დასაჯეს.

თბილისელ ტყებუჩავაზე მეტი არაფერი გაუკეთებია ფოთელ ტყებუჩავას. იგი თამაშისას გინებით შეუვარდა მსაჯებს მოედანზე. კოლხთა გამწვრთნელ ჯუნგლის დაუსწრებლად გაუფორმეს განაჩენი — ორმატჩიანი დისკვილიფიკაცია და 100-ლარიანი ჯარიმა.

მოკლედ, ამ ორ მწვრთნელს შორის არც გვარშია სხვაობა, დანაშაულიც მსგავსი ჩაიდინეს, მაგრამ მაინც სხვადასხვაგვარად დასაჯეს. სადისციპლინო კომიტეტის წევრებმა ჩვენთან საუბარში მომხდარი ასე ახსნეს — ფოთელი ტყებუჩავა მსაჯმა გააწითლაო. თუმც პატივცემულ დისციპლინარებს შევახსენებთ, ის, რომ თბილისელი ტყებუჩავა მსაჯმა არ გააწითლა, თავად მსაჯის შეცდომაა.

იმ გადაწყვეტილებებზეც ვთქვათ, გუშინდელი სხდომის ბოლო ხუთწუთეულში რომ მოილიეს.

„ტორპედო“ — „თბილისის“ შეხვედრაში ორი ყვითელი ბარათით გააძევეს კახა კვეტენაძე. მერე კი თანაგუნდელი იმედაძე და კვარაცხელია ერთმანეთში წაიკიდნენ. შილაკაძემ ორივე გააფრთხილა, კვარაცხელიას ერთი ყვითელი უკვე მიღებული ჰქონდა და გასახდელის გზას დაადგა. რომელი ფეხბურთელი უფრო მკაცრად იყო დასასჯელი? დისციპლინართა აზრით, ტორპედოელი. კვეტენაძეს ორმატჩიანი უქმობა გამოუწერეს, კვარაცხელიას ერთით ნაკლები. ქუთაისელი 100 ლარს გადაიხდის, თბილისელი — 50-ს.

„მილანი“ — „ცხინვალის“ მატჩის შემდეგ მსაჯებისთვის უგინებიათ წნორელებს. ქიზიყელები 100 ლარით დააჯარიმეს.

გუშინ დაუსწრებლად დასაჯეს უბერებელი ზვიად ენდელაძე. „გურია“ — „ვიტ ჯორჯია მცხეთას“ მატჩში ენდელაძეს მეტოქე იროდი ჯოჯუასთვის გაურტყამს ხელი. ამ უკანასკნელს გუშინ ამართლებინეს თავი, ყმაწვილი ჯოჯუა ბევრს იხვეწებოდა, ჩემზე მეტად ნუ გაიმეტებთ ენდელაძეს, ფეხბურთში ყველაფერი ხდებაო, მაგრამ ყური არავინ უგდო იროდის. ჯოჯუას ორმატჩიანი შვებულება გამოუწერეს, ენდელაძე კი სამმატჩიანი უქმობით დასაჯეს.

**პაატა ძმანტალიანი**



დაა... რა უნდა ვუყოთ ეხლა ამათ...





*საამსეზონოდ „ვიტ ჯორჯია“ ზურაბ ბერიძემ ჩაიბარა — ჟანი კარნევალის შემცვლელი წარმატებით მუშაობს — ვიტელები მეორე ადგილზე არიან და ლიდერ „დინამოს“ ოდენ გატანილ-გაშვებული ბურთების უარესი სხვაობის გამო ჩამორჩებიან. „ვიტ ჯორჯიას“ აწმყოსა და მომავალზე სწორედ ზურაბ ბერიძეს ვესაუბრეთ*

# დამაჯერე — დაგაჯერე
## ზურაბ ბერიძის ბრიტანული ფილოსოფია

**— როცა გუნდი ჩაიბარეთ, თუ ელოდით, რომ ამ ეტაპზე ლიდერებში იქნებოდით?**

— თავიდან ზეექვსეულში მოხვედრა გვქონდა მიზნად, მაგრამ მერე თამაში წაგვივიდა და გამოჩნდა, რომ პირველობისთვისაც შეგვწევს ძალა. ამ ჩემპიონატში მხოლოდ ერთი თამაში ჩავაგდეთ სტუმრად „დილასთან“.

**— პირველობისთვის შეგვწევს ძალაო, თქვით, მაგრამ განა პირობებითა და ფეხბურთელთა კონტინგენტით თბილისის „დინამოს“ უტოლდებით?**

— „დინამოს“ უკეთესი პირობები აქვს, მაგრამ საქართველოს კვალობაზე არც „ვიტ ჯორჯიაშია“ ურიგო პირობები. თუმც ყოველივე მხოლოდ პირობებზე როდია დამოკიდებული — ფეხბურთელების დარწმუნება იმაში, რომ მათ ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეუძლიათ — ამ ფაქტორს უფრო მაღლა ვაყენებ, ვიდრე პირობებს.

**— მერედა, უკვე დააჯერეთ „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელები ამაში?**

— რა თქმა უნდა და საერთოდ, მწვრთნელმა მარტო ფიზიკურად და ტაქტიკურად ხომ არ უნდა მოამზადოს გუნდი?! ერთი სიტყვით, ჩვენ ვარწმუნებთ ფეხბურთელებს, რომ მიუხედავად სხვაობისა პირობებში, ჩემპიონობა შეგვიძლია. ბევრი რამაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი პიროვნებაა ფეხბურთელი — „ვიტ ჯორჯიაში“ კარგი პიროვნებები არიან.

**— „ვიტ ჯორჯია“ უმეტესწილად საკუთარ კადრებს, ახალგაზრდა ფეხბურთელებს ეყრდნობა — კლუბის ასეთი პოლიტიკით გუნდი ევროტურნირებზე ხშირად კი გადის, მაგრამ ჩემპიონატს და თასს ვერ იგებს...**

— შეკითხვის არსი გასაგებია. მაგრამ კატეგორიულად არავის უთქვამს, სხვა გუნდებიდან გამოცდილი ფეხბურთელები არ უნდა დავიმატოთო. უბრალოდ, „ვიტ ჯორჯია“ თავის ფეხბურთელებს ანიჭებს უპირატესობას — გაწეული შრომა, თანხები და კიდევ ის, რომ ჩვენს ფეხბურთელებთან მართლები უნდა ვიყოთ — თუ მოთამაშე დაიმსახურებს, მას საშუალება უნდა ჰქონდეს, მეორე გუნდიდან პირველში მოხვდეს.

**— ჩემპიონატის პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ სხვა გუნდებიდან გამოცდილი ფეხბურთელების დამატებას არ აპირებთ?**

— ამ თემაზე უკვე გვქონდა საუბარი კლუბის პრეზიდენტთან. კონკრეტული ფეხბურთელების გვარების დასახელებისგან ახლა თავს შევიკავებ, მაგრამ მათ გადმოყვანაზე სერიოზულად ვფიქრობთ — ფეხბურთელი ჩვენს პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს, ჩვენ კი ფეხბურთელისას.

**— როგორ ფიქრობთ, ამ სეზონში თქვენ გუნდში რომელი ფეხბურთელები დაწინაურდნენ?**

— საამსეზონოდ მარცვალაძე, იმედაშვილი და გოცირიძე დაწინაურდნენ, აგრეთვე დეკანოსიძე — ის ბრწყინვალე, მოაზროვნე ფეხბურთელია.

**— სეზონის წინ „სარბიელთან“ ინტერვიუში თქვით, თამაშის ბრიტანული სტილი მომწონსო — რამდენად აითვისა ეს სტილი „ვიტ ჯორჯიამ“?**

— მომენტებში ამას ვახერხებთ და რამდენიმე გოლიც გავიტანეთ ბრიტანულ სტილში. ამაზე ვარჯიშებზეც ვამახვილებთ ყურადღებას.

**— ბოლო თამაშზე რას იტყოდით? „ლოკომოტივს“ შინ ვერ მოუგეთ (1:1)...**

— მძიმე თამაში იყო. მეტოქემ ჩვენი უილბლობის, ელემენტარული შეცდომის წყალობით გაგვიტანა გოლი. რაც შეეხება დანიშნულ და არდანიშნულ თერთმეტმეტრიანებს, ორივე დასანიშნი იყო, თუმც ამაზე ლაპარაკი აღარ ღირს — საერთო ჯამში კმაყოფილი დავრჩი, თუმც მოგება შეგვეძლო.

**— „დინამოსა“ და „ვიტ ჯორჯიას“ გარდა ამ დროისთვის კიდევ რომელ გუნდს აქვს იმის პოტენცია, ჩემპიონობისთვის რომ იბრძოლოს?**

— „ლოკომოტივი“, „სიონი“, „დილა“ — მოგვიანებით ყველაფერი უფრო ნათლად გამოჩნდება.

**დავით თამართძილაძე**

# სენიორ ფლორენტინო, რივალდოზე რას იტყვით?

## რონალდო ძმაკაცს რეალს უკეთებს

**ეს პატარა** ცნობა შესაძლოა, დიდი ამბის დასაწყისი გამოდგეს.

გუშინდელ „სარბიელში“ ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი წერილი იყო დაბეჭდილი. ერთში ვიუწყებოდით, რომ რივალდოს „მილანზე“ გული აცრუებია, რადგან კარლო ანჩელოტი არათუ არ ათამაშებს, თურმე გამარჯობასაც არეუბნება.



მეორე წერილი უფრო სახალისო იყო და რონალდოს დაბადების დღეზე მოგითხრობდათ, რომელიც იუბილარმა ორშაბათს მადრიდში, მეგობრების წრეში ფრიად მხიარულად აღნიშნა.

ახლა კი ირკვევა, რომ ამ ორ ამბავს დიახაც, რომ საერთო აქვთ.

დაბადების დღეზე მიწვეულთა შორის რივალდოც იყო, სხვა სტუმრებმა კი შენიშნეს, რომ რონალდო და რივალდო ერთხანს არასადღესასწაულო სერიოზული საზეებით რაღაცაზე საუბრობდნენ. წვეულების მერე იუბილარმა სტუმრები მინი-გოლფის სათამაშოდ მიიწვია და იქაც შენიშნეს, რომ რონალდომ და რივალდომ კვლავ მუსაიფი გააბეს.

გუშინ კი „ჟორნალ დუ ბრაზილმა“ დაწერა, რომ რონალდო და რივალდო ამ უკანასკნელის მადრიდის „რეალში“ გადასვლის თაობაზე საუბრობდნენ.

მაგრამ „რეალში“ ფეხბურთელების ყიდვა-გაყიდვის საქმეს ხომ რონალდო არ განაგებს? და ვინც განაგებს, მასზე თავად რონალდომ თქვა, ფლორენტინო პერესს დავურეკე და ვთხოვე, რივალდო ჩვენთან გადმოიყვანოსო.

ფლორენტინო პერესის სურვილი და განწყობა ჯერჯერობით უცნობია.

**ძოტე ძეძელია**



ფილიპო ინძაგი

# ტანში ჟრუანტელი მივლის კისერს ვინ ჩივის, კბილი მენანება

**„პერუჯასთან“** მატჩში „მილანს“ თავდამსხმელი ფილიპო ინძაგი დაუშავდა. ავსტრალიელ მეკარე ჟელკო კალაჩს პიპო თავით შეასკდა, კისერი და ყვრიმალები დაიზიანა, ერთი კბილი „რენატო კურის“ მინდორზე დაკარგა და მიწაზე უგონოდ დაეცა. კარლო ანჩელოტიმ ფორვარდი დანიელი იონ დალ ტომასონით შეცვალა, თავად ინძაგი კი უმალ პერუჯას საავადმყოფოში გააქანეს.

იტალიის ნაკრების თავდამსხმელი მეორე დღეს გამოწერეს საავადმყოფოდან და ორშაბათს უკვე მილანელოში გახლდათ. ფეხბურთელი მყის „როსონერის“ ექიმმა როდოლფო ტავანამ გასინჯა. „პიპოს სულ ცოტა, 8-10 დღით მოუწევს დასვენება და მკურნალობა. საგანგაშო ნამდვილად არაფერია“ — დაამშვიდა ანჩელოტი ტავანამ.

ცხადია, მომხდარით ჟურნალისტებიც დაინტერესდნენ და პერუჯული მატჩის ორივე „გმირს“ კომენტარები სთხოვეს, კითხვის არსი ასეთი გახლდათ — მეკარე კალაჩმა შეგნებულად ხომ არ დაამტვრია ინძაგი.

ჟელკო კალაჩმა „კორიერე დელო სპორტს“ უთხრა: „შოკირებული ვიყავი, როცა დავინახე, თუ როგორ მიჰყავდათ საკაცით უგონოდ მყოფი ინძაგი საავადმყოფოში ძალიან განვიცადე. შემიძლია, გულწრფელად დაგარწმუნოთ, პიპოს შეგნებულად არ დავჯახებივარ. ორივეს ყურადღება ბურთისკენ გვქონდა მიპყრობილი და ერთმანეთი არც შეგვიმჩნევია. მოხარული ვარ, რომ საავადმყოფოდან მალე გამოწერეს“.

თავად ინძაგიმ სილვიო ბერლუსკონის კერძო არხის, Milan Channel-ის ჟურნალისტთან საუბრისას განაცხადა: „ყველაფერი შემთხვევით მოხდა, კალაჩი არაფერ შუაშია. ახლაც რომ ვიხსენებ იმ ეპიზოდს, ტანში ჟრუანტელი მივლის. სულ ცოტა 2-3 დღე კისერზე სპეციალური სახვევი მექნება“. ინძაგიმ არც ჩვეული იუმორი დაივიწყა, კისერს არ ვჩივი, უფრო მინდორზე დაკარგული კბილი მადარდებსო.

ასეა თუ ისე, ფილიპო ინძაგი „მილანის“ ორ უახლოეს მატჩს ნაღდად გამოტოვებს, სერიულ დაპირისპირებას „ლეჩესთან“ და ჩემპიონთა ლიგის შეხვედრას ვიგოში „სელტასთან“. შესაძლოა, პიპო 5 ოქტომბრის მთავარ მატჩშიც ვერ ვიხილოთ ცნობილ მილანურ დერბიში „ინტერთან“.

„მილანის“ ლაზარეთში კი ახლა ხუთი ფეხბურთელია. ფილიპო ინძაგის გარდა როდოლფო ტავანასთან კახა კალაძე, ალესანდრო ნესტა, კრისტიან აბიატი და ჯუზეპე პანკარო მკურნალობენ.

**გიორგი ვაშაძიძე**

# არგენტინული ხელობა

## გულის სამარცხვინო გოლი

**ვერ იტყვი,** რომ არგენტინელები ფეხბურთის თამაშისას ხელებს უშნოდ იქნევენ. 1986 წელს მარადონამ ინგლისი თავისი მტევნის ერთი მოძრაობით დაზაფრა. ის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალი გახლდათ. სასწორზე ნახევარფინალში გასვლა იდო და ნებისმიერი ხერხით გამარჯვების სურვილით შეპყრობილ კაცს შეიძლება ხელი წაუცდეს.

გასულ უქმეებზე კი იტალიაში ერთი ჩვეულებრივი „ბოლონია“ — „უდინეზე“ გაიმართა. უდინელები მასპინძელთა შეტევებს უმკლავდებოდნენ და ქულის წალებაზე ფიქრობდნენ, როცა ბოლონიელთა არგენტინელმა გულიელმინპიეტრომ 63-ე წუთზე გოლი ხელით გაიტანა.

ნამატჩევს უსამართლობით დაჩაგრულებმა თამაშის ფირი დაახრიალეს, სადაც გულის ხელოვნება აშკარად გამოჩნდა. „ბოლონიას“ მწვრთნელმა კარლო მაცონემ პრესკონფერენციაზე თავის ფეხბურთელს ოსტატობა დაუწუნა.

„უდინეზეს“ გენერალურმა დირექტორმა პიერპაოლო მარინომ კი თქვა: „გულის საქციელი შეურაცხმყოფელი და სამარცხვინოა. ჩვენ მსაჯის დასჯას არ ვითხოვთ, რადგან მან ნამდვილად ვერ დაინახა ხელით თამაში, მაგრამ რამდენიმე მატჩით ფეხბურთელის დისკვალიფიკაციას აუცილებლად დავიჟინებთ“.

თვითონ დამნაშავე გულწრფელი იყო: „ყველაფერი სწრაფად და ინსტიქტურად მოხდა. ბურთს ხელით რომ შევეხე, მსაჯისკენ მივიხედე, რადგან მისგან ყვითელ ბარათს ველოდი. მსაჯმა დაუსტვინა, მაგრამ ეს გოლის ჩათვლის ნიშანი იყო. თანაგუნდელები მეცნენ და მილოცავდნენ. ასეთ დროს არბიტრთან იმის სათქმელად მისვლა, რომ ბურთი ხელით გავიტანე, ვერ შევძელი“.

**ვაჟა ხუციშვილი**



გულის ხელური



# ტაფარელი თავისუფალია? გაუღეთ კარი

**იტალიური** „ემპოლის“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, 37 წლის ბრაზილიელი მეკარე კლაუდიო ტაფარელი შეიძინოს, რომელიც ამჟამად თავისუფალი აგენტია.

ამის მიზეზი გუნდის ახლანდელი, ასევე ცნობილი მეკარის ლუკა ბუჩის არადამაჯერებელი თამაში გახდა. ლუკასთვის სეზონი კოშმარულად დაიწყო, მან პირველ სამ ტურში ათი გოლის გაშვება მოასწრო, რის შედეგადაც გუნდი ბოლო ადგილზე დამკვიდრდა.

„როგორც ჩანს, ლუკა ბუჩი მომავალი რამდენიმე კვირის მანძილზე არ გამოგვადგება. მას ახლა არც ისე კარგი დრო უდგას და საკუთარ თავზე მუშაობა სჭირდება. ახალი მეკარის მოძიება კი არც ისე ადვილია, რადგან სატრანსფერო ფანჯარა დახურულია — განაცხადა „ემპოლის“ გენერალურმა დირექტორმა პინო ვიტალემ.

აქვე აღვნიშნოთ, რომ სერია A-ში „ემპოლის“ დარად ათი გოლის გაშვება „ბრეშამაც“ მოასწრო და კრიტიკის ქარცეცხლი ლუკა ბუჩის კოლეგასა და სეხნიას, ლუკა კასტელაცისაც დაატყდა თავს, მაგრამ „ბრეშას“ ახალმა თავკაცმა ჯანი დე ბიაზიმ თავისი ერთ-ერთი რჩეული ფეხბურთელი საჯაროდ დაიცვა — ყველაფერი კარგადაა, სიტუაციას ზედმეტად ნუ ამუქებთო.

**გიორგი ძაძაბაძე**

# არსენს თავისი არშინი ჰქონია



**იცით**, რა შეიძლება მოხდეს? 18 ოქტომბერს, „არსენალისა“ და „ჩელსის“ შეხვედრაში „მეთოფეებს“ შესაძლოა შვიდი წამყვანი ფეხბურთელი დააკლდეთ. მიზეზი: ისევ ის ამბავი, „ოლდ ტრეფორდზე“ რუუდ ვან ნისტელროისთან ჩხუბი. გუშინ დაასახელეს ხუთი უწესრიგო ლონდონელი. მარტინ კიოუნი, რეი პარლოუ, იენს ლემანი, ეშლი კლული და ლორანი. ამბობენ, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ისტორიაში ერთი გუნდის ამდენი კანონდამრღვევის საქმის მოსმენა თუ განხილვა არასდროს ყოფილა. სადისციპლინო საქმეთა შეფებს ვიდეომაგნიტოფონთან უკვე უმუშავიათ, ასე რომ, რაც სანახავი იყო, ნანახია.

ფაქტია, რომ „ჩელსისთან“ შეხვედრას პატრიკ ვიეირა გამოტოვებს — მან იმ დღეს ორი ყვითელი მიიღო, ხოლო სოლ კემპბელი ჯერაც აგვისტოს ინციდენტის გარჩევას ელოდება — „მანჩესტერ იუნაიტედთან“ „ჩერითი შილდის“ შეხვედრაში ერიკ ჯემბა-ჯემბას მიწიხვლას ვგულისხმობთ.

ერთი სიტყვით, არსებობს თეორიული შანსი იმისა, რომ არსენ ვენგერი „ჩელსის“ წინააღმდეგ მთავარი მეკარის, დაცვის ოთხეულის და ნახევარი ნახევარდაცვის გარეშე დარჩეს, მაგრამ... ეს შანსი მხოლოდ თეორიულია, ვინაიდან ვენგერმა სადისციპლინო ეშმაკობები ძალიან კარგად იცის. კერძოდ, ვენგერი, ბუნებრივია, თავის კანონდამრღვევ ფეხბურთელებს ფეხბურთის ასოციაციის ბრალდებებზე პასუხის გაცემას ორი ნებადართული კვირით გააჯანჯლებინებს, რის შემდეგაც დაიწყებს პერსონალური მოსმენების მოთხოვნას და სხდომებს დაუსრულებლად გადასდებს.

რა აზრი აქვს დროის ასე გაწელვას? ის, რომ ლონდონელებს შესუსტებული შემადგენლობით თამაში 29 ოქტომბერს თასის მესამე ეტაპის შეხვედრაში უჯობთ.

**ბაჩუნა ძიდია**



არსენალელებს ყმაწვილი კრისტიანო რონალდოს „მოგუდვის მცდელობისთვისაც“ გაასამართლებენ


სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები) დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით

ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები...

სპორტული ატრიბუტიკა: დროშები, ვიმპელები...

საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91

53-76-82 899 56-18-49


# იცხოვრეთ ერთად!

## როგორ მოპარა კოლინას შვილმა ბექჰემი



**„ოლდ ტრეფორდზე“** ატეხილმა სილაქ-მუჯლუგუნობამ მსოფლიოს საუკეთესო მსაჯს, იტალიელ პიერლუიჯი კოლინას პატივისცემაზე ლაპარაკის სალერღელი აუშალა.

„მე ყოველთვის ფეხბურთელებისა და მსაჯების ურთიერთ პატივისცემაზე ვლაპარაკობ, რადგან ეს აუცილებელია — განაცხადა 43 წლის არბიტრმა — ზოგადად, მსაჯებს ისეთი თამაშები გვირჩევნია, სადაც ერთი დარღვევაც არ იქნება, მაგრამ გასაგებია, რომ მოედანზე აუცილებლად დატრიალდება მოვლენები. სამწუხარო სხვაა: როდესაც ფეხბურთელები უპირატესობის მოპოვებას უწესო ხერხებით ლამობენ. უეფა კი ცდილობს თავისას, მაგრამ აქ ყველაფერი თავად მოთამაშეების მენტალიტეტზეა დამოკიდებული. შედეგის ასეთი გზით მიღწევა ყველას პრობლემებს უქმნის, აი, ეს უნდა გაიგონ. რომელ გუნდში თამაშობ სულერთია, გარშემო შენი პროფესიის ხალხია. იმწუთას იქნებ მოიტყუო, მაგრამ ფეხბურთში პრობლემას ტოვებ“.

კოლინამ ეს ყველაფერი თავისი წიგნის, „თამაშის წესების“ წარდგენაზე ილაპარაკა, სადაც დასძინა, რომ პროფესიულ ფეხბურთში იმოდენა ფსიქოლოგიური ზეწოლაა, ფეხბურთელებმა ხანდახან შეიძლება მართლა ვერ მოთოკონ თავი, მაგრამ მწვრთნელები ვალდებულნი არიან ამ მიმართულებით ცხრა პირი ოფლი ღვარონ.

„ბავშვთა ფეხბურთში საქმე ძალიან ცუდად არის. იქ მსაჯის როლი საერთოდ არ ესმით — განაგრძო კოლინამ — ბავშვებმა უნდა გაიგონ, რომ ასეთი აქტიურობა მაღალ დონეზე მოწონებით ვერ ისარგებლებს. მწვრთნელებმა მათ ერთად ცხოვრება უნდა ასწავლონ“.

და ბოლოს, კოლინას ჰკითხეს, მართალია თუ არა, რომ მისი საყვარელი ფეხბურთელი ინგლისელი დევიდ ბექჰემია. მან ღიმილით მიუგო“

„მე მაქვს ბექჰემის ნაცვამი მაისურა, მაგრამ შინ რომ მივიტანე, ჩემმა შვიდი წლის გოგონამ წამართვა და მერე აღარ მინახავს“.

**ბაჩუნა ძიდია**

# მოკითხვა ქარხნის მუშებს

## ბაიერნი აქეთ კალმუნდმა მოიკითხა, იქით ელბერმა

**მიუნხენის** „ბაიერნის“ ჰალსტუხიანი უფროსები შეიძლება რაიმე საკითხზე ვერ შეთანხმდნენ, მაგრამ როცა საქმე ლევერკუზენის „ბაიერის“ სიძულვილზე მიდგება, ისინი ერთ ტალღაზე დგებიან.

წინა შაბათს „ბაიერნმა“ ლევერკუზენელებს უმასპინძლა. მეორე ტაიმის 57-ე წუთზე, როცა სტუმრები 2:1-ს იგებდნენ, მიუნხენელი ზე რობერტო გააძევეს. „ფარმაცევტები“ უმეტესობაში დარჩნენ, მაგრამ საჩუქარი ვერ შეირგეს.

ფრანც ბეკენბაუერი ამ ფაქტს ჩაებღაუჭა და ენა მეტოქის გასაკენწლად მომართა: „ბაიერს“ ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს — ძლიერი გუნდი ათკაციან მოწინააღმდეგესთან უპირატესობას არ უნდა თმობდეს.“

„კაიზერ ფრანცი“ გულისხმობს იმ ფაქტს, რომ 2:1-ზე, რობერტოს გაგდების შემდეგ, „ბაიერნმა“ კაცმეტ სტუმრებს ორი გოლი გაუტანა და ქულა აართვა. ბეკენბაუერმა იქვე დასძინა: „ლევერკუზენელებისა იოტისოდენადაც არ გვეშინია. ისინი ჩემპიონობას ვერასოდეს ეღირსებიან.“

„ფარმაცევტთა“ გენერალური მენეჯერი რაინერ კალმუნდი რეპლიკებს ასე გამოეხმაურა: „მიუნხენიდან სამი ქულა რომ წაგველო, მაშინ ენახავდი, როგორ იჭიკჭიკებდნენ. არა უშავს, მთავარია, რომ გუნდი ძველებურად კარგად ათამაშდა.“



ჯოვანი ელბერი



რაინერ კალმუნდი

კალმუნდისგან განსხვავებით, ყოფილი მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი და „ბაიერნი“ ჯოვანი ელბერმა გვარიანად შეჯორა.

„მწვრთნელმა მითხრა, ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის მცირე შანსიც არ გექნებაო — დაიჩივლა „ლიონის“ მეგოლემ — მიუხედავად თავდაუზოგავი ვარჯიშისა, იგი გუნდის წევრად უკვე აღარ მთვლიდა. მივხდი, რომ „ბაიერნში“ ჩემი დღეები დათვლილი იყო. რატომ გამყიდეს, იცით? თურმე ბუნდესლიგის დონეს არ შევესაბამებოდი. ეს აბსურდია! მათ გულშემატკივრებისთვის უკეთესი ტყუილიც კი ვერ მოიფიქრეს. ჩემი გარჯა სათანადოდ რომ დაეფასებინათ, ახლა ისევ იქ ვიქნებოდი. „ბაიერნი“ საფეხბურთო კლუბი კი არა, ფულის ქარხანაა, ფეხბურთელს მხოლოდ მაშინ ეფერებიან, როცა მის თამაშს წარმატება და ფული მოაქვს.“

**ვაჟა ხუციშვილი**

# აღარც ოლე?!

## გუნარის მუხლმა ფერგიუსონს გუნება წაუხდინა

**ცუდი** ამბავი შეატყობინეს გუშინწინ ალექს ფერგიუსონს. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნორვეგიელი თავდამსხმელი, ბექჰემის გუნდიდან წასვლის შემდეგ კი ამპლუაშეცვლილი განახევარმცველებული ოლე გუნარ სოლსკიაერი საოპერაციოაო. 30 წლის ფეხბურთელს დასტაქრებმა გუშინწინვე გაუკეთეს მუხლზე მენისკის ოპერაცია.

„სამწუხარო ფაქტი მოხდა, ოლე გუნარ სოლსკიაერი კარგა ხანს ვერ ითამაშებს. მართალია, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, მაგრამ ექიმები ზუსტად ვერ ამბობენ, როდის გამოჯანმრთელდება ნორვეგიელი“ — „მანჩესტერ იუნაიტედის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე ამ სიტყვებს ამოიკითხავთ.

სოლსკიაერი მხოლოდ „იუნაიტედს“ როდი დააკლდა, იგი გაურკვეველი ვადით ნორვეგიის ეროვნულ გუნდსაც გამოეთხოვა, სადაც ვიკინგს 55-ჯერ მოურგია ნაკრების კვართი და 20 გოლიც გაუტანია.



**გიორგი გაზაძიძე**



# დი სტეფანოს... ჩრდილქვეშ

**ბერნაბეუს თასი**

**რეალი (ესპანეთი) 3:1 რივერ პლეიტი (არგენტინა)**

1:0 სოლარი (55), 2:0, 3:0 პორტილიო (58, 70), 3:1 გონსალესი (80)

რეალი: სესარი, სალგადო (პავონი 46), რუბენი, ელგერა (ხორდი 74), რობერტო კარლოსი (რაულ ბრავო 46), ბექჰემი (ბორხა 37), გუტი (კამბიასო 74), ნუნიესი (ოლალა 81), ზიდანი (ხურადო 46), სოლარი, პორტილიო (რიკი 81)

რივერ პლეიტი: კოსტანცო, ტუციო, კროზა, ამელი, ვივიერსკასი (ვიკასი 63), კუდეტი (ლ. გონსალესი 46), მასკერანო (ბარადო 84), პერეირა (აუმადა 46), ლუდუენა (უსაინი 60), დომინგესი (მონტენეგრო 46), კავენაგი (ლოპესი 74)

მსაჯი: ედუარდო იტურალდე გონსალესი (ესპანეთი)

37 000 მაყურებელი

23 სექტემბერს მადრიდის „რეალი“ და არგენტინული „რივერ პლეიტი“ სანტიაგო ბერნაბეუს თასის რიგით 37-ე გათამაშებაში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ამ ორი დიდი გუნდის შეხვედრა ერთ ფრიად ღირშესანიშნავ თარიღსაც დაემთხვა — სრული 50 წელი გასულა მას შემდეგ, რაც მსოფლიო ფეხბურთის ყველა დროის ერთ-ერთი გამორჩეული ტრანსფერი განხორციელდა. 1953 წლის სექტემბერში მაშინ უკვე სახელგანთქმულმა რივერელმა ალფრედო დი სტეფანომ უკეთესი ბედის საძიებლად ატლანტის ოკეანე გადალახა, რათა შემდგომში კასტილიური „რეალის“ ლეგენდა და მისი უდიდებულესობა ფეხბურთის განსხეულებული ზღაპარი გამხდარიყო.

გუშინწინ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ 30 ათასი ინჩასი შეიკრიბა. ტრიბუნებზე „რივერ პლეიტის“ ფანთა ნაკლებობაც არ შეიმჩნეოდა — საყვარელი გუნდის საქომაგოდ და საამაყო თვისტომის პატივსაცემად ოკეანისგადაღმიდან უამრავი პატაგონიელი ჩამოსულიყო. ირგვლივ ყველაფერი დი სტეფანოს ჯადოსნური ხიბლის ტყვეობაში იყო მოქცეული. „გმადლობთ დონ ალფრედო!“ — ეწერა „რეალისა“ და „რივერის“ მობურთალთა მიერ მოედანზე შემოტანილ პლაკატზე. ALFREDO CAMPEON! VIVA LA SAETA RUBIA! (ალფრედო ჩემპიონი. დიდება ვერცხლისფერ ისარს) გაჰყვიროდნენ ინჩასები, რომელთა უმეტესობაც ალბათ დიდი არგენტინელის ზეობის ჟამს ოდენ ბავშვი თუ იქნებოდა. „რეალის“ საპატიო პრეზიდენტიც (იმდღევანდელი იუბილარი) კიდევ ერთხელ წარდგა აღფრთოვანებული პუბლიკის წინაშე და კვლავაც დაამტკიცა, რომ იმ მრავალრიცხოვან გამარჯვებათა გარდა, სამეფო გუნდს პრიმერადივიზიონსა თუ ევროპულ სარბიელზე რომ მოუტანა, ყველაზე მთავარი ჯილდო — ხალხის სიყვარული სამარადჟამოდ მოუნადირებია.

„ბერნაბეუს“ მატჩი კი დაძაბულად დაიწყო, რაც ესოდენ მეგობრულ გარემოს არ შეეფერებოდა. ფეხბურთელები ფრთხილობდნენ და სახიფათო ეპიზოდებიც მეტოქეთა კარის მისადგომებთან ნაკლებად იქმნებოდა. პირველი „რეალური“ დარტყმა რობერტო კარლოსისა გახლდათ. მისი გასროლა „რივერ პლეიტის“ კარის მცველმა კონსტანცომ უკუაგდო. ხუთი წუთის შემდეგ არგენტინელთა ხავიერ მასკერანო ცდილობდა, გაეტანა, მაგრამ ამაოდ დაშვრა. პირველ ტაიმში სოლარიმაც ვერ იხეირა, დევიდ ბექჰემის გადაცემის შემდეგ თავური დარტყმით დი სტეფანოს თანამემამულემ თავისი ძველი გუნდის ოდენ კარის ძელი დალაშქრა.

საიუბილეო მატჩის პირველი ნახევარიც უგოლო ფრით აღინიშნა. სამაგიეროდ, ტაიმთაშორისის შემდეგ სანტიაგო სოლარიმ თავდაპირველი უზუსტობანი გოლით აინაზღაურა. 55-ე წუთზე კონსტანცოს საჯარიმოში მცირეხნიანი ვოიაჟის შემდეგ „რეალმა“ ანგარიში გახსნა. მანუელ პელეგრინის „რივერი“ შეეცადა, გაეთანაბრებინა, მაგრამ ამის ნაცვლად კიდევ ორი ბურთით დასაჩუქრდა. ხაბიერ პორტილიომ ოცწუთიან შუალედში დუბლი შეასრულა, რასაც სამხრეთამერიკელებმა გონსალესის კენტი გოლით უპასუხეს. საბოლოოდ 3:1, „ბერნაბეუს თასი“ — მადრიდის „რეალს“, ღირსეული წაგება — პატაგონიურ „რივერ პლეიტს“, ხოლო უბერებელ ალფრედო დი სტეფანოს მორიგი დიდებული გამარჯვება.

**ლადო ხომერიკი**



# ბრმა ნაწლავი ჯამაგირის შემცირებას ვერ იტანს



დორტმუნდელებს ხელფასი 20 პროცენტით შეუმცირეს

**ჩემპიონთა** ლიგაში მოხვედრა შემოსავალს ნიშნავს, ვერმოხვედრა კი ზარალს. სწორედ ასეთ დღეში ჩავარდა დორტმუნდის „ბორუსია“.

სეზონის დაწყებამდე ტრავმების გამო ძირითად შემადგენლობას რამდენიმე ფეხბურთელი გამოაკლდა. შედეგად ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „ბრიუგეს“ ვერ სძლიეს და გუნდს ფინანსური თუ საფეხბურთო საქმეები ცუდად წაუვიდა.

დაახლოებით ერთი თვის წინ კლუბის პატრონმა საჯაროდ განაცხადა, უფულობის გამო შესაძლოა, ბიჭებს ჯამაგირი შევუმციროთო. ნათქვამს ზოგი მშვიდად შეხვდა, ზოგიც — პროტესტით. ტომაშ როსიცკიმ თავიდან ხელფასის ჩამოჭრა იუარა. ევროპელი ბობოლები ჩემზე ნადირობენ და უკეთეს გუნდში გადასვლა არ გამიჭირდებაო.

| 21.00 | 27.09 | რეჯინა - იუვენტუსი | | 21.00 | 27.09 | რეჯინა - იუვენტუსი | |
| 23.30 | 27.09 | უდინეზე - ინტერი | | 23.30 | 27.09 | უდინეზე - ინტერი | |
| 18.30 | 27.09 | მიუნხენ 1860 - შტუტგარტი | | 18.30 | 27.09 | მიუნხენ 1860 - შტუტგარტი | |
| 18.30 | 27.09 | ჰანზა - ბაიერნი | | 18.30 | 27.09 | ჰანზა - ბაიერნი | |
| 23.00 | 27.09 | ბასტია - სოშო | | 23.00 | 27.09 | ბასტია - სოშო | |
| 23.00 | 27.09 | მარსელი - ნიცა | | 23.00 | 27.09 | მარსელი - ნიცა | |
| 19.00 | 27.09 | პსვ - ალკმაარი | | 19.00 | 27.09 | პსვ - ალკმაარი | |

## I ეტაპი, VI ტური

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 28.09 | ჩარლტონი - ლივერპული | | 18.00 | 28.09 | ჩარლტონი - ლივერპული | |
| 19.00 | 28.09 | ევერტონი - ლიდსი | | 19.00 | 28.09 | ევერტონი - ლიდსი | |
| 20.05 | 28.09 | სიტი - ტოტენჰემი | | 20.05 | 28.09 | სიტი - ტოტენჰემი | |
| 23.30 | 28.09 | კიევო - პერუჯა | | 23.30 | 28.09 | კიევო - პერუჯა | |
| 19.00 | 28.09 | ვალენსია - რეალი | | 19.00 | 28.09 | ვალენსია - რეალი | |
| 19.00 | 28.09 | ბილბაო - სოსიედადი | | 19.00 | 28.09 | ბილბაო - სოსიედადი | |
| 19.00 | 28.09 | ატლეტიკო - ბარსელონა | | 19.00 | 28.09 | ატლეტიკო - ბარსელონა | |
| 20.30 | 28.09 | შალკე - აინტრახტი | | 20.30 | 28.09 | შალკე - აინტრახტი | |

ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 27 სექტემბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში“ და გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქციაში (მხოლოდ 27 სექტემბერს)

### საკონკურსო ბიულეტენები მიიღება:

1. ტოტალიზატორ „ტაიმში", კოსტავას ქ.№37
2. მეტრო „ვაგზლის მოედანი" პირველი გამოსასვლელი „პლანეტის" ჯიხური №8
3. მეტრო „გოცირიძე" „ფორტე 4"
4. დოლიძის ქუჩის კუთხეში „პლანეტის" ჯიხური №18 ატელიეს წინ
5. მეტრო „ვარკეთილი" „ფორტე 2"
6. მეტრო „სამგორი" „ფორტე 9"
7. მეტრო „თავისუფლების მოედანი" მაღაზია „თბილისი"
8. მეტრო „ახმეტელი" „ფორტე 7"
9. მეტრო „ღრმაღელე" „პლანეტის" ჯიხური №20
10. მეტრო „დიდუბესთან" „პლანეტის" ჯიხური №17
11. გადასასვლელ ხიდთან „პლანეტის" ჯიხური №16
12. მარჯანიშვილის მოედანზე „პლანეტის" ჯიხური №15
13. „მაცნეს" ჯიხური №22 (უნივერსიტეტის პირდაპირ)
14. „მაცნეს" ჯიხური №29 (მეცხრე საავადმყოფოს პირდაპირ)
15. ქუთაისში ნიუპორტის ქ. 1 ოთახი 21 (მესხიშვილის თეატრის უკან)

ყველა მიმღები პუნქტი აღნიშნული ფორტეთი მდებარეობს მეტროში

**პასუხი კონკურსანტთა კითხვებზე:**

პროგნოზის გრაფაში მითითებული უნდა იყოს ანგარიში.

შეიძლება პროგნოზის ნებისმიერი რაოდენობის ვარიანტების ჩაბარება (დებულების მე-13 პუნქტი)

კონკურსის დებულება იხილეთ გაზეთ „ახალ ვერსიაში"

## I ეტაპი, VII ტური

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------------------

**რჩევა კონკურსანტთან ჩაბარების ბოლო ვადაა 29.09.03**

შტამპის | ადგილი

I ეტაპი, VII ტური
ჩაბარების ბოლო ვადაა 29.09.03

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------------------

მისამართი----------------------

საკონტაქტო ტელეფონი ----------------------

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 30.09 | სელტიკი - ლიონი | | 23.45 | 30.09 | სელტიკი - ლიონი | |
| 23.45 | 30.09 | ანდერლეხტი - ბაიერნი | | 23.45 | 30.09 | ანდერლეხტი - ბაიერნი | |
| 23.45 | 30.09 | ინტერი - დინამო (კიევი) | | 23.45 | 30.09 | ინტერი - დინამო (კიევი) | |
| 21.30 | 30.09 | ლოკომოტივი - არსენალი | | 21.30 | 30.09 | ლოკომოტივი - არსენალი | |
| 23.45 | 30.09 | მონაკო - აეკ | | 23.45 | 30.09 | მონაკო - აეკ | |
| 23.45 | 30.09 | დეპორტივო - პსვ | | 23.45 | 30.09 | დეპორტივო - პსვ | |
| 23.45 | 30.09 | ოლიმპიაკოსი - იუვენტუსი | | 23.45 | 30.09 | ოლიმპიაკოსი - იუვენტუსი | |
| 23.45 | 30.09 | გალათასარაი - სოსიედადი | | 23.45 | 30.09 | გალათასარაი - სოსიედადი | |

## I ეტაპი, VIII ტური

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 01.10 | პანათინაიკოსი - რეინჯერსი | | 23.45 | 01.10 | პანათინაიკოსი - რეინჯერსი | |
| 23.45 | 01.10 | შტუტგარტი - მანჩესტერი | | 23.45 | 01.10 | შტუტგარტი - მანჩესტერი | |
| 23.45 | 01.10 | მარსელი - პარტიზანი | | 23.45 | 01.10 | მარსელი - პარტიზანი | |
| 23.45 | 01.10 | პორტო - რეალი | | 23.45 | 01.10 | პორტო - რეალი | |
| 23.45 | 01.10 | ჩელსი - ბეშიქთაში | | 23.45 | 01.10 | ჩელსი - ბეშიქთაში | |
| 23.45 | 01.10 | სელტა - მილანი | | 23.45 | 01.10 | სელტა - მილანი | |
| 23.45 | 01.10 | ლაციო - სპარტა | | 23.45 | 01.10 | ლაციო - სპარტა | |
| 23.45 | 01.10 | აიაქსი - ბრიუგე | | 23.45 | 01.10 | აიაქსი - ბრიუგე | |

ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 30 სექტემბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში“ და გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქციაში (მხოლოდ 30 სექტემბერს)

## I ეტაპის I ტურის წინასწარი შედეგები

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქ. |
|---|---|---|
| 1 | გაბელაია კახა ჟუკას ძე | 39 |
| 2-9 | ბლუაშვილი ზურაბ ნოდარის ძე | 31 |
| 2-9 | გორგიშელი შალვა ჯუმბერის ძე | 31 |
| 2-9 | გორელაშვილი დავით გურამის ძე | 31 |
| 2-9 | თოფჩიშვილი ლერი ირაკლის ძე | 31 |
| 2-9 | ლომიძე გიორგი მალხაზის ძე | 31 |
| 2-9 | ქოჩლაძე ზურაბ ანგის ძე | 31 |
| 2-9 | ღვაჩლიანი ირაკლი ფაიზორის ძე | 31 |
| 2-9 | ცხვედიანი თეიმურაზ ვაჟას ძე | 31 |
| 10 | გრიგორაშვილი თამაზ დავითის ძე | 30 |
| 11-12 | ამირეჯიბი გოჩა შოთას ძე | 29 |
| 11-12 | ფხაკაძე ზურაბ გურგენის ძე | 29 |
| 13-21 | ბეგიაშვილი ანა მიხეილის ასული | 28 |
| 13-21 | ვეშაპიძე გია შოთას ძე | 28 |
| 13-21 | მჭედლიშვილი ილია კობას ძე | 28 |
| 13-21 | ნონიკაშვილი მიხეილ ნუგზარის ძე | 28 |
| 13-21 | ჟღენტი მალხაზ ნიკოლოზის ძე | 28 |
| 13-21 | სამხარაძე გოჩა ნაულის ძე | 28 |
| 13-21 | ფირცხალავა ლევან ტარიელის ძე | 28 |
| 13-21 | ქურდაძე ირაკლი ალექსანდრეს ძე | 28 |
| 13-21 | წულაია აკაკა ალფეზის ძე | 28 |
| 22-27 | ბახტაძე ნიკოლოზ ვლადიმერის ძე | 26 |
| 22-27 | კალანდარიშვილი ზაალ ალექსანდრეს ძე | 26 |
| 22-27 | ფეიქრიშვილი მერაბ ჯემალის ძე | 26 |
| 22-27 | ცქვიტაია სანდრო ალექსანდრეს ძე | 26 |
| 22-27 | ხმალაძე ინეზა თემურის ას | 26 |
| 22-27 | ჯორბენაძე სერგი სანდროს ძე | 26 |

## I ეტაპის II ტურის წინასწარი შედეგები

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქ. |
|---|---|---|
| 1 | გიორგაძე ოთო კობას ძე | 44 |
| 2 | ბლუაშვილი ნოდარ ზურაბის ძე | 42 |
| 3 | ფირცხალავა ლევან ტარიელის ძე | 41 |
| 4 | თოფჩიშვილი ლერი ირაკლის ძე | 40 |
| 5-10 | ბარბაქაძე გიორგი კონსტანტინეს ძე | 39 |
| 5-10 | გურგენიძე ზურაბ ანტონის ძე | 39 |
| 5-10 | კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე | 39 |
| 5-10 | მორჩიაშვილი პალიკო სევერიანის ძე | 39 |
| 5-10 | ქურდაძე ირაკლი ალექსანდრეს ძე | 39 |
| 5-10 | საბაშვილი გიორგი დომენტის ძე | 39 |
| 11-12 | გრძელიშვილი ლაშა ალექსის ძე | 38 |
| 11-12 | თხელიძე ირაკლი ჯონდოს ძე | 38 |
| 13-16 | ბახტაძე ირაკლი ნიკოლოზის ძე | 36 |
| 13-16 | გორელაშვილი დავით გურამის ძე | 36 |
| 13-16 | მსხვილიძე გიორგი გივის ძე | 36 |
| 13-16 | ჟღენტი მალხაზ ნიკოლოზის ძე | 36 |
| 17 | ჯაფარიძე არჩილ ბიძინას ძე | 35 |
| 18 | სანიკიძე დავით შოთას ძე | 34 |
| 19-31 | აბესაძე თეიმურაზ იაშას ძე | 33 |
| 19-31 | ამირეჯიბი გოჩა შოთას ძე | 33 |
| 19-31 | გალუაშვილი დავით გიორგის ძე | 33 |
| 19-31 | გოგონაძე ჯაბა ბადრის ძე | 33 |
| 19-31 | გოცირიძე არჩილ ილიას ძე | 33 |
| 19-31 | ლაბაძე ლევან ნოდარის ძე | 33 |
| 19-31 | მაზიაშვილი დავით ბიძინას ძე | 33 |
| 19-31 | მახარაშვილი თეიმურაზ თენგიზის ძე | 33 |
| 19-31 | მელიქიშვილი ნუგზარ ლევანის ძე | 33 |
| 19-31 | მჭედლიშვილი ილია კობას ძე | 33 |
| 19-31 | ნიჟარაძე შოთა ვარლამის ძე | 33 |
| 19-31 | ციკოლია მამუკა ვალერიანის ძე | 33 |
| 19-31 | ჭანტურია სოსო კობას ძე | 33 |

## მდგომარეობა ორი ტურის შემდეგ

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქ. |
|---|---|---|
| 1 | თოფჩიშვილი ლერი ირაკლის ძე | 71 (31-40) |
| 2 | ფირცხალავა ლევან ტარიელის ძე | 69 (28-41) |
| 3-4 | გორელაშვილი დავით გურამის ძე | 67 (31-36) |
| 3-4 | ქურდაძე ირაკლი ალექსანდრეს ძე | 67 (28-39) |
| 5 | ჟღენტი მალხაზ ნიკოლოზის ძე | 64 (28-36) |
| 6-9 | ამირეჯიბი გოჩა შოთას ძე | 62 (29-33) |
| 6-9 | ბარბაქაძე გიორგი კონსტანტინეს ძე | 23-39 (62) |
| 6-9 | გიორგაძე ოთო კობას ძე | 62 (18-44) |
| 6-9 | გურგენიძე ზურაბ ანტონის ძე | 62 (23-39) |
| 10-11 | თხელიძე ირაკლი ჯონდოს ძე | 61 (23-38) |
| 10-11 | მჭედლიშვილი ილია კობას ძე | 61 (28-33) |
| 12-15 | ბლუაშვილი ზურაბ ნოდარის ძე | 59 (31-28) |
| 12-15 | ვეშაპიძე გია შოთას ძე | 59 (28-31) |
| 12-15 | მორჩიაშვილი პალიკო სევერიანის ძე | 59 (20-39) |
| 12-15 | ღვაჩლიანი ირაკლი ფაიზორის ძე | 59 (31-28) |
| 16-17 | მელიქიშვილი ნუგზარ ლევანის ძე | 58 (25-33) |
| 16-17 | ჯაფარიძე არჩილ ბიძინას ძე | 58 (23-35) |
| 18-20 | ბლუაშვილი ნოდარ ზურაბის ძე | 57 (15-42) |
| 18-20 | ლომიძე გიორგი მალხაზის ძე | 57 (31-26) |
| 18-20 | ფხაკაძე ზურაბ გურგენის ძე | 57 (29-28) |
| 21-29 | ბაციკაძე ნუგზარ ვლადიმერის ძე | 56 (25-31) |
| 21-29 | გოცირიძე არჩილ ილიას ძე | 56 (23-33) |
| 21-29 | გრძელიშვილი ლაშა ალექსის ძე | 56 (18-38) |
| 21-29 | მახარაშვილი თეიმურაზ თენგიზის ძე | 56 (23-33) |
| 21-29 | ნონიკაშვილი მიხეილ ნუგზარის ძე | 56 (28-28) |
| 21-29 | ორმოცაძე ზაზა ვლადიმერის ძე | 56 (25-31) |
| 21-29 | ციკოლია მამუკა ვალერიანის ძე | 56 (23-33) |
| 21-29 | ძნელაძე ნუგზარ სიმონის ძე | 56 (25-31) |
| 21-29 | ჭანტურია სოსო კობას ძე | 56 (23-33) |

შედეგების გაპროტესტება შეიძლება 30 სექტემბრამდე, 11-დან 17 საათამდე, კვირა-ორშაბათის გარდა გაზეთ „ახალი ვერსიის" რედაქციაში

# ყრილობამ ახალ ქაღალდებზე ახალი ლოგო დახატა

*გუშინ კალათბურთის ფედერაციამ „კალათბურთის სახლში“ ყრილობა გამართა. თავიდან ცოტა დავიბენით, ვინაიდან ამ სახლის არსებობაზე მასში შეკრებილთა უმრავლესობამაც არაფერი იცოდა, ხოლო საკუთრივ ყრილობა, წესით, 2005 წელს უნდა ჩატარებულიყო*

**„კალათბურთის სახლი“** კონსტანტინე გამსახურდიას 7 ნომერში მდებარეობს, მაგრამ სახელს ჯერ ვერ ამართლებს — კალათბურთის არაფერი ეტყობა. სანამ ყრილობის ბარე ნახევარი არ მიილია, საპრესკონფერენციო დარბაზში შეკრებილთა უმრავლესობამ ვერ გაიგო, სად იმყოფებოდა. მერე კი ყრილობის წამყვანმა, კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა მამუკა კაციტაძემ საზოგადოებას ამცნო, რომ „კალათბურთის სახლი“ „სტუ-ჯეოსელის“ პრეზიდენტის ვაჟა ქუთათელაძის დაარსებულია.

მამუკა კაციტაძემ თავიდანვე განმარტა, რომ ეს საგანგებო, 4 სექტემბერს შეკრებილი ალმასკომის მიერ დანიშნული ყრილობა იყო და მიზნად ფედერაციის წესდებაში ცვლილებების შეტანას ისახავდა, ურომლისოდაც ამ ორგანიზაციის მუშაობა არაეფექტური და სამართლებრივად გაუმართავი იქნებოდა.

მამუკა კაციტაძე: „წესით, ყრილობა ორი წლის შემდეგ უნდა მოგვეწვია, მაგრამ გადავწყვიტეთ, რიგგარეშე ჩაგვეტარებინა, რადგან წესდებაში გარკვეული ცვლილებებია შესატანი, რომელიც საკუთრივ ფედერაციის შიდასტრუქტურულ საკითხებს მოაწესრიგებს და არსებულ სამოქალაქო კოდექსთან შესაბამისობაში მოიყვანს ჩვენი ორგანიზაციის მუშაობას.“

აი, ცვლილებებიც, რომლის განსახორციელებლად „კალათბურთის სახლში“ ყრილობის ორმოცამდე დელეგატი შეიკრიბა:

— გაუქმდა პრეზიდიუმი, რომელსაც ოთხ წელიწადში ერთხელ ყრილობა ირჩევდა. პრეზიდიუმი აკომპლექტებდა ალმასკომს და შემდეგ უფუნქციოდ რჩებოდა, რადგან ოთხი წლის განმავლობაში ალმასკომი, ფაქტობრივად, კანონმდებელიც თავად იყო და აღმასრულებელიც. ამიერიდან კი პირდაპირ ყრილობაზე აირჩევა აღმასკომი, რომელიც მხოლოდ კანონმდებელი იქნება, ხოლო საააღმსრულებლო საქმიანობას აღმასკომის მიერ შექმნილი კომიტეტები გასწევენ.

მეორე ცვლილება: მხოლოდ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს შეუძლია, გახდეს კალათბურთის ფედერაციის (რომელიც კანონმდებლობით საზოგადოებრივი ორგანიზაციაა) წევრი. აქამდე ამის უფლება ჰქონდა ყველას, ვინც კი მოისურვებდა.

და ბოლო ცვლილება: კალათბურთის ფედერაციას ამიერიდან ახალი ლოგო ექნება, კალათში ჩაშვებული ცეცხლოვანი ბურთი.

ხსენებული ცვლილებები კენჭისყრით განხორციელდა. დელეგატთა შორის სრული ერთსულოვნება იყო.

ყრილობაზე სიტყვით გამოვიდნენ ფედერაციის გენერალური მდივანი მერაბ რატიშვილი და საქართველოს ნაკრების ხორვატი მწვრთნელი დრაჟენ ბრაიკოვიჩი. პირველმა ფედერაციის მიერ ორი წლის მანძილზე გაწეული მუშაობა შეაჯამა, მეორემ კი ქართული კალათბურთის გარდასულ სიდიადესა და ნათელ მომავალზე ისაუბრა.

ბოლოს ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა ითხოვა სიტყვა. პრეზიდენტმა შეკრებილთ ამცნო, რომ ისეთ სპონსორს ეძებს, რომელიც ჩვენი კლუბების ნაცვლად გადაიხდის საქართველოს ჩემპიონატში სამონაწილეო თანხის 80 პროცენტს.

**ირაკლი პერტაია**

# თმკც ? ქოს ვრფრ მფქრო

## თუჯი მადნეული კვარციტი ცემენტი ● უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეთ???!!!



„დიღომამდე“ თსუ-ელი ვიქტორ სანიკიძე

**დუდუ დადიანის** ხსოვნის ტურნირზე გუშინ ორი ერთმანეთისგან განსხვავებული მატჩი გაიმართა. „სტუ-ჯეოსელის“ და „მაკაბის“ არაფრისმომცემი და უინტერესო დაპირისპირება თმკც — თსუ-ს ჯახმა დაჩრდილა.

ცხადია, გეუცხოვათ თმკც. ეს აბრივიატურა ყოფილი რუსთავის „აზოტის“ სპონსორი საწარმოების — „თუჯი“, „მადნეული“, „კვარციტი“, „ცემენტი“ — პირველ ასოთა კრებულია. რას იზამ, კლუბის უფროსობამ სწორედ ასეთი სახელი შეურჩია ქვემოქართლურ კლუბს, მაგრამ თმკც ნამეტანი მოუხერხებელია და ამიერიდან „აზოტს“ „რუსთავად“ მოვიხსენიებთ.

სახელი კი წაერთვა, მაგრამ რუსთაველ კლუბს ძველებურად მოსდევს მებრძოლი ჟინი. ქვემოქართლელებმა გუშინ ამბიციამოძალებული თსუ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს. არადა, შემადგენლობას რომ გადახედო, სტუდენტები უფრო ძლიერები ჩანან, მაგრამ რუსთაველებს ზურგს ერთად თამაშის მრავალწლიანი გამოცდილება უმაგრებთ და გუშინაც სწორედ ამის წყალობით გაიმარჯვეს.

თსუ-ში ითამაშა დიომენელმა ვიქტორ სანიკიძემ, რომელიც სავიზო პრობლემების გამო ვერ ახერხებს საფრანგეთში წასვლას. ახალბედა დავით საყვარელიძესთან ერთად სანიკიძე ერთ-ერთი საუკეთესო იყო სტუდენტთაგან, ამათი შემწეობით თსუ-მ მესამე მეოთხედში 12-ქულიანი ჩამორჩენაც კი გააბათილა, მაგრამ მრავლისმნახველ რამაზ გოგობერიშვილსა და ირაკლი ჯაფარიძეს თბილისელებმა ვერაფერი მოუხერხეს და ცოტა არ იყოს, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნენ...

საქმე ისაა, რომ მატჩს ესწრებოდა თსუ-ს სპონსორობის მოსურნე „კოკა-კოლას“ პრეზიდენტი თემურ ჭყონია, რომელმაც საგულდაგულოდ დაათვალიერა ვერის ბაღის დარბაზი და მატჩის დასრულების შემდეგ დიდი ინტერესით უყურა ბათუმუს „ბასკოს“ ვარჯიშს.

მემორიალის გახსნის მატჩზე კი ისაა სათქმელი, რომ „მაკაბი“ მხოლოდ ერთხელ დაწინაურდა „სტუ-ჯეოსელთან“ (3:0) და შემდეგ გვარიანად განადგურდა.

დღეს მემორიალზე „დინამო“ — თსუ და „ბასკო“ — „მაკაბია“.

**ირაკლი პერტაია**





გარი კასპაროვი და ზურაბ აზმაიფარაშვილი

# მაჰარია (5,5) და შეეკითხეთ აზმაიფარაშვილს (0,5)

*გარი კასპაროვთან საჭადრაკო დუელი ყველა მოჭადრაკისთვის დიდი პატივია. ამჯერად რუსეთელი დიდოსტატი ჩვენს თანამემამულეს, წლევანდელ ევროპის ჩემპიონ ზურაბ აზმაიფარაშვილს დაუპირისპირდა*

მატჩი საბერძნეთის ლამაზ კუნძულ კრეტაზე, პატარა სოფელ პანორმოსის კულტურის ცენტრში გაიმართა და კასპაროვის გამარჯვებით დასრულდა — 5,5:0,5. დიდოსტატებმა ექვსი პარტიიდან ორი სწრაფი და ოთხიც ბლიცი ითამაშეს.

შეგახსენებთ, რომ სწრაფი პარტიისას თითოეულ მოჭადრაკეს მოსაფიქრებლად სულ 25 წუთი ეძლევა (10 წამი თითოეული სვლისთვის), ბლიცში კი ხუთი წუთი — სამი წამი თითოეული სვლისთვის.

პირველი სწრაფი პარტია კასპაროვმა კლასიკური e4-ით დაიწყო და მეტოქეებმა დებიუტში ფილიდორის დაცვა გაითამაშეს. მალე ორივე მხარემ ყურადღება ცენტრისკენ გადაიტანა და დაფის შუა ნაწილი ფიგურებით რომ გაავსეს, გაცვლას მიჰყვეს ხელი, რის შემდეგაც კასპაროვი პაიკით დაწინაურდა. აზმაიფარაშვილმა მდგომარეობის გამოსასწორებლად მეტოქის ფლანგს სუსტი ფიგურებით შეუტია და იერიშზე წასულებს ზურგი ეტლებით გაუმაგრა. აქ ისევ გაცვლები დაიწყო და 30-ე სვლაზე ქართველმა დაფაზე წონასწორობა აღადგინა. ამ გამანადგურებელ ბრძოლებში მეტოქეებს მხოლოდ მეფე და სამი პაიკი შერჩათ და პარტიაც თითქოს საყაიმო იყო, თუმცა ამ დროს კასპაროვმა იმძლავრა და 49-ე სვლაზე თამაში თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მეორე სწრაფი პარტია, რომელიც თითქმის გადაება პირველს, აზმაიფარაშვილმა ნაკლებადცნობილი დებიუტით c4-ით დაიწყო და მსწრაფლ ცენტრის დაპყრობას შეუდგა. უქმად არც კასპაროვი იჯდა და მეტოქის შეტევებს იერიშითვე უპასუხა. მე-18 სვლაზე მან მხედარი შესწირა აზმაიფარაშვილს, რითაც შეტევისთვის გზა გაეხსნა და კასპაროვის დედოფალიც მყისვე შეიჭრა ქართველის ბანაკში. შავმა დედოფალმა მუსრი გაავლო თეთრების მარჯვენა ფლანგს, ხოლო როცა დამხმარედ ეტლიც მიუვიდა, აზმაიფარაშვილი იძულებული გახდა, დამარცხება ეღიარებინა.

სწრაფი პარტიების შემდეგ მეტოქეები უფრო აჩქარდნენ ანუ ბლიცებზე გადავიდნენ. მესამე პარტიაში კასპაროვმა დებიუტად მხედარი f3-ი ირჩია და მეფისთვის მყუდრო თავშესაფრის მოწყობას შეუდგა. აზმაიფარაშვილმა კი არ დროს ცენტრში უპირატესობის მოპოვება დაიწყო. რუსმა დააბინავა თუ არა საკუთარი ხელმწიფე, მალევე შეუტია ქართველს და დაფის ცენტრი ნამდვილ ბრძოლის ველს დაემსგავსა, აქ კი კვლავ გარიმ იმარჯვა და 25-ე სვლაზე ქართველმა მესამე დამარცხება აღიარა.

საოცარი გამოდგა მომდევნო ბლიცპარტია. თითქოს დაფა შეატრიალესო, ყველაფერი წინა პარტიის მსგავსად გათამაშდა, ოღონდ ეგ იყო, მეტოქეები ისხდნენ სხვადასხვა მხარეს. 25-ე სვლამდე ყველაფერი უცვლელად განვითარდა. თუმცა ამ სვლაზე კასპაროვი აზმაიფარაშვილის მსგავსად არ გაჩერებულა და თამაში გააგრძელა. ცენტრში გადატანილი შეტაკების შემდეგ რუსმა ქართველს მარჯვენა ფლანგზე დიდი ძალებით შეუტია, საკმაოდ აურ-დაურია დაწყობილი ფიგურები და... როგორც წინა სამ პარტიაში, აქაც აზმაიფარაშვილი დამარცხდა. ეს კი 52-ე სვლაზე მოხდა.

მეხუთე შეხვედრა ყაიმით დასრულდა. კასპაროვმა ისევ e4-ით დაიწყო და ფრონტის წინა ხაზზე მსუბუქი ფიგურები გამოიყვანა. აზმაიფარაშვილმაც წინა ხაზის გაძლიერება დაიწყო და მე-7 სვლაზე კასპაროვის პატარა იერიშიც მოიგერია. პაიკების გაცვლას მომდევნო ათიოდე სვლა მეტოქეებმა შეტევებს დროებით თავი აარიდეს და საკუთარ ტერიტორიაზე ფიგურების მობილიზება დაიწყეს. მე-17 სვლაზე იერიში კვლავ კასპაროვმა წამოიწყო, თუმცა აზმაიფარაშვილმა იგი მოიგერია და რუსის მეფის ფლანგს დასცხო. თამაში ორმხრივ შეტევებით გაგრძელდა, უფრო ქართველმა იყოჩაღა და პაიკითაც გავიდა წინ. თუმცა ეს უპირატესობა ბოლომდე ვერ გამოიყენა და 57-ე სვლაზე ყაიმს დათანხმდა.

ბოლო, მეექვსე შეხვედრაში აზმაიფარაშვილმა დებიუტში მხედარი f3-ით ითამაშა და უკვე მეოთხე სვლაზე როქი გააკეთა. ქართველმა მეფე საიმედოდ დაცულად რომ იგულა, მეტოქეს პაიკებითა და მსუბუქი ფიგურებით შეუტია. იერიშს კასპაროვმა იერიშითვე უპასუხა და 38-ე სვლაზე მოიგო კიდეც.

ამ მატჩის შემდეგ მოჭადრაკეები ცოტას დაისვენებენ და შაბათს ევროპის საკლუბო ჩემპიონატში თავიანთი გუნდების ღირსებას დაიცავენ.

**ლუბა გეგეჭკორი**

# ბედი და სასხლეტი ხელის გამოკვრაზეა

## ნინო სალუქვაძეს გამოტირებული ტირი ელირსა



ბადრი [illegible] ფოტო

*ნინო სალუქვაძემ ათენის ლიცენზია ქართველ სპორტსმენთაგან პირველმა მოიპოვა. მომავალ წელს გასამართი ოლიმპიადა მისთვის მეხუთეა და ქართულ დელეგაციაში ამითაც გამორჩეული იქნება, თუმცა უმაღლესი მწვერვალი აქამდე მხოლოდ ერთხელ, ისიც პირველ ცდაზე, 1988 წელს სეულში დაიპყრო. მაშინ ნინომ სპორტული იარაღით ოქრო, ხოლო პნევმატურით ვერცხლი აიღო, თან მსოფლიოს რეკორდიც დაამყარა. მართალია, ეს თხუთმეტი წლის წინ იყო და მას შემდეგ სამმა ოლიმპიადამ ქართველი მსროლელისთვის უშედეგოდ ჩაიარა, მაგრამ ოქროსთვის ბრძოლა კვლავაც რომ შეუძლია, შარშან შანხაის მსოფლიოს თასზეც დაამტკიცა, როცა პლანეტის უძლიერეს მსროლელებად მიჩნეულ ჩინელებს მათსავე მიწაზე აჯობა. ახლა კი, მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე თავის გამოსაცდელად შვედეთში გასამართი ევროპის ჩემპიონატილა რჩება*

— მსროლელთა შორის ლიცენზიების გათამაშება სპორტის ყველა სხვა სახეობაზე ადრე იწყება და მალევე მთავრდება. ათენის საგზურის მოსაპოვებელი ტურნირები გაისად აღარ გაიმართება. ულიცენზიოდ დარჩენილებს კი ერთადერთ იმედად ნოემბერში შვედეთში გასამართი ევროპის ჩემპიონატილა რჩებათ.

**— თქვენ ათენის საგზური ქართველთაგან პირველმა ჯერ კიდევ შარშან მოიპოვეთ.**

— ლიცენზია 2002 წელს შანხაიში, მსოფლიოს თასზე გამარჯვებით დავიბევე. ასეთი ტურნირები წელიწადში ოთხჯერ ტარდება და, ევროპის პირველობისგან განსხვავებით, მასზე ლიცენზიას მხოლოდ ჩემპიონი იგებს, რითაც ორივე სახეობაში, სპორტული და პნევმატური იარაღებით სროლაში შეუძლია ოლიმპიურ თამაშებში გამოსვლა.

**— ჩინეთში თქვენი გამარჯვება მასპინძელთათვის ალბათ დიდი იმედგაცრუება იყო.**

— მსოფლიოში ყველაზე ძლიერი მსროლელები ჩინეთს ჰყავს და მათთვის პირველობის და თან ლიცენზიის წართმევა ყველასთვის სიურპრიზი იყო. ევროპელი მსროლელები ამან ძლიერ გაახარა და ყველა გულით მილოცავდა. ამის შემდეგ მსოფლიოს თასის გათამაშებებს ატლანტამ და სეულმა უმასპინძლეს, თუმცა მონაწილეობა არცერთ მათგანში არ მიმიღია. ჯერ ერთი, სიშორის გამო ბევრი პრობლემა იყო გადასაჭრელი და მეორეც, ოლიმპიადის საგზური უკვე მოპოვებული მქონდა.

**— მაგრამ წინა ოლიმპიადებზე ხომ ნინო უჩაძე სწორედ თქვენს მიერ მოგებული ორი ლიცენზიით მოხვდა...**

— ეს წესი შეიცვალა და ახლა რამდენი ტურნირიც უნდა მოვიგო, დაწინაურებით საგზურს არავინ მოგვცემს. ითვალისწინებენ მხოლოდ პერსონალურ შედეგს.

**— მაშინ ნინო უჩაძის საოლიმპიადო შანსზე გვითხარით.**

— ნინომ ბოლო ორ ევროპის ჩემპიონატზე მე-9 ადგილი დაიკავა. მართალია, რამდენიმე ანგარიშგასაწევ სპორტსმენს, მათ შორის სერბ სეკარიჩსაც, შვედეთი ერთადერთ იმედად დარჩა, მაგრამ თუ კი უჩაძემ თავისი საშუალო შედეგის ჩვენება შეძლო, ათენში აუცილებლად მოხვდება. ამჯერად ამისთვის ოცდაათეულში მოხვედრაც კი შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს.

**— თავად თუ აპირებთ შვედეთში წასვლას?**

— რა თქმა უნდა. ეს ხომ ამ წლის ბოლო სერიოზული ტურნირია.

**— რადგან საქართველოში სავარჯიშო პირობები არ არის, ბოლო წლებში ტურნირებისთვის მოსამზადებლად უცხოეთში გიწევდთ სიარული.**

— გერმანიაში მეგობრების მიწვევით რამდენჯერმე მართლაც მოვაწყეთ შეკრებები მეც და ნინომაც, თუმცა ათენისთვის მოსამზადებლად იქ ვარჯიში აღარ გამოგვადგება. გაცილებით მომგებიანი გაზაფხულზე თურქეთში ვარჯიში იქნება. იქაური ჰავა ბერძნულის მსგავსია და თან თურქეთშიც მყავს ისეთი მეგობრები, რომლებიც ამაში დაგვეხმარებიან.

**— საქართველოში კი ტირის პრობლემა ვერა და ვერ მოგვარდა.**

— ჯერ კიდევ რვა წლის წინ შევუკვეთეთ გერმანულ ფირმას ინვენტარი, მაგრამ ამ ხნის მანძილზე სასროლი დანადგარების თბილისამდე ჩამოტანა ერთადერთი მიზეზით არ ხერხდებოდა — ფული იყო გადასახდელი. საბედნიეროდ, ერთი კვირის წინ დიდი ხნის ოცნება აგვისრულდა და ოლიმპიური ფონდის დახმარებით ინვენტარი უკვე თბილისშია. ახლა მთავარი დარბაზის მოწყობა და გარემონტებაა. სპორტის დეპარტამენტის სარდაფში გამოგვიყვეს ფართი, სადაც ტირს გავაკეთებთ. რა თქმა უნდა, უკეთესი იყო, ღია სასროლეთის მოწყობა. დღეს ხომ ჩემპიონატები სწორედ ღია ტირებში იმართება, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას გაცილებით მეტი ხარჯები და, რაც მთავარია, ადგილის გამოძებნა სჭირდებოდა, რაც ვერ მოხერხდა. გარდა ამისა, ერთსაც გეტყვით: თბილისში ჩამოსული ინვენტარით დიდად კი გავიხარეთ, მაგრამ იგი თანამედროვე სასროლ ტექნიკას საგრძნობლად ჩამორჩება. ტურნირებზე კომპიუტერული მოწყობილობები დგას. მისი თბილისში ჩამოტანა გაცილებით ძვირი დაჯდებოდა.

**— წლევანდელ პირველობებზე ფინალებში კი შედიოდით, მაგრამ სერიოზული შედეგის ჩვენება ვერ მოახერხეთ.**

— ჩემთვის განსაკუთრებით გულდასაწყვეტი ევროპის ჩემპიონატის მეოთხე ადგილი იყო. სპორტული პისტოლეტით სროლაში მედლის მოპოვებამდე მეათედი ქულაღა დამაკლდა. დანარჩენი ტურნირები კი ძირითადად ახალი იარაღების და მათი სახელურების გასასინჯად გამოვიყენე.

**— ერთ-ერთი მთავარი როლი შედეგის მისაღწევად იარაღსაც ენიჭება. ამ მხრივ როგორაა ხოლმე თქვენი საქმე?**

— რაც უნდა ახალი იარაღი გამოვიდეს, მეც და სხვა ჩემს თანაგუნდელებს უფასოდ გვაქვს. ამაში უპირველეს ყოვლისა, ქართული დიპლომატია მეხმარება. ყველასთან კარგი დამოკიდებულება მაქვს, რაც ამ პრობლემის მოგვარებაში ძლიერ გვიწყობს ხელს. ავსტრიულ „შტაერს", ფაქტობრივად, მე გავუთქვი სახელი წარმატებული გამოსვლით და დღეს თითქმის ყველა მას ხმარობს.

**— რომელ სახეობაში გირჩევნიათ ასპარეზობა — სპორტული იარაღით თუ პნევმატურით?**

— სპორტულით გაცილებით ძნელია. სროლაც მეტი გიწევს და მეტადაც იღლები. თან ძალიან ჩქაროსნულია, მაგრამ რატომღაც მაინც მას ვანიჭებ უპირატესობას. თუმცა ცოტა უკეთესი შედეგები პნევმატურით მაქვს მიღწეული.

**— ათენის ოლიმპიადა თქვენთვის მეხუთეა. წინა ოთხიდან წარმატებას მხოლოდ პირველზე მიაღწიეთ.**

— 1988 წელს სეულში ოქროსა და ვერცხლის მედლები მოვიგე, თან მსოფლიოს რეკორდიც დავამყარე. ეს, პირველ ყოვლისა, მაშინდელმა კარგმა მომზადებამ შემაძლებინა, მომდევნო ოლიმპიადებისთვის კი მსგავსი პირობები სანატრელი მქონდა. თუმცა ეს ყველაზე ნაკლებად 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადას ეხება, რომლისთვისაც ნორმალურადაც ვიყავი მომზადებული და ფინალამდე მეორე შედეგიც ვაჩვენე, მაგრამ შემდეგ რა დამემართა, თვითონაც ვერ ამიხსნია. იმედია, ათენი უფრო იღბლიანი იქნება ჩემთვის.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ბეკერმა სამშობლო გაცვალა სხვა ქვეყნის საგადასახადო სამოთხეზე

**გუშინწინდელის** მერე ყველაზე სახელიანი გერმანელი მეჩოგნე ბორის ბეკერი შვეიცარიული ცუგის მოსახლეა. ცუგი ციურიხიდან 50 წუთის სავალზე მდებარეობს, მხოლოდ 20 ათას მაცხოვრებელს მოითვლის და ერთი „ბამბანერკა" ალაგი გახლავთ. 35 წლის მარტოხელა ბორისი იქ სამოთახიან ბინაში იცხოვრებს, თავისი ახალი ფირმის — „ბორის ბეკერი და კომპანია" — ოფისის გვერდით.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ დედასამშობლომ მისი მწითური გენიოსი საბოლოოდ დაკარგა?

„არამც და არამც! — კატეგორიულად უარობს ბორისი — უკვე სამი წელია, შვეიცარიაში რიგიანი ბიზნესი მაქვს. დამეთანხმებით — ლოგიკურია, კაცმა იქ იცხოვროს, სადაც მუშაობს კიდეც. მით უფრო, რომ ბიზნესისთვის აქ მართლაც საუცხოო გარემოა".

მრავალთა აზრით, ბეკერის მიერ „სამშობლოს გამოცვლა" უწინარესად სწორედ შვეიცარიაში არსებულმა საუცხოო ბიზნესგარემომ, უფრო ზუსტად კი, იქაურმა დაბალმა გადასახადებმა განაპირობა.

ბორისის მოწილე და პარტნიორი ჰანს დიტერ კლევენი, ვინაც შვეიცარიაში უკვე 28 წელია, ამბობს კიდეც: „გერმანიასთან შედარებით აქ მართლაც საგადასახადო სამოთხეა. შემთხვევითი არ



არის, რომ მიხაელ შუმახერი და იან ულრიხიც აქ ცხოვრობენ".

ჩვენი მხრით დავძენთ, რომ გერმანული სპორტის ხსენებულ ვარსკვლავთა გარდა ზორბა გადასახადებს სამშობლოდან შვეიცარიაში ფრანც ბეკენბაუერი და გიუნტერ ნეცერიც გაექცნენ. თუმცა შვეიცარია მარტო გერმანელებს არ იზიდავს — სხვა, მეტ-ნაკლებად განთქმულ ადამიანთა შორის, იქაურ მოქალაქეებში უცნობილეს პოპვარსკვლავებს — ტინა ტერნერსა და ფილ კოლინზსაც აღმოაჩენთ...

შეგახსენებთ, რომ შარშან, ოქტომბერში, მიუნხენის სასამართლომ გადასახადების დამალვაში დანაშაულებულ ბეკერს 500 ათასი ევროს გადახდა დააკისრა.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ანუ ცოლთან, ბარბარასთან გაყრის შემდეგ იგი ერთ მიუნხენურ ოტელში ბინადრობდა. ბარბარა და მათი ორი ვაჟი — ნოე (9) და ელიასი (4) მაიამიში ცხოვრობენ.

# 54:0

## ახლა ინგლისის ჯერია

## სორელი, რა თქმა უნდა, ხუმრობს

*გუშინ საფრანგეთში მყოფმა საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს თასის წინ ბოლო სპარინგი გამართა და სამოყვარულო „შატო რენარს" 54:0 მოუგო. ბორჯღალოსნებმა ფრანგებთან სამი 30-30 წუთიანი ტაიმი ითამაშეს, რათა ჩვენების მწვრთნელ კლოდ სორელს შემადგენლობის ცვლილების საშუალება ჰქონოდა. გუშინ სორელმა 25 მორაგბე ათამაშა. ჩვენებმა მეტოქეს 8 ლელო გაუტანეს და შვიდი მათგანი გარდასახეს. ორი ლელო ოთარ ელოშვილის ანგარიშზეა. თითო კი დავით ბოლღაშვილმა, გიორგი ჩხაიძემ, დავით დადუნაშვილმა, ირაკლი მაჩხანელმა და მალხაზ ურჯუკაშვილმა გაიტანეს. ერთი ლელოც ჯგუფური იყო. ჩვენების მე-10 ნომერმა პალიკო ჯიმშელაძემ ოთხი ლელო გარდასახა. შეცვლაზე შესულმა მერაბ კვირიკაშვილმა კი სამი. ნამატჩევს კლოდ სორელს გავესაუბრეთ...*



**— ცხადია, ამ მოგების შემდეგ კარგ ხასიათზე იქნებით...**

— რა თქმა უნდა, მაგრამ აქ ანგარიშზე მთავარი ჩემების კარგი თამაშია. ყველამ ბოლომდე იბრძოლა. ახლა არ აქვს მნიშვნელობა, რა დონის მეტოქეს ვეთამაშებოდით. მთავარია ვარჯიშებზე ნასწავლი უნაკლოდ გადაიტანეს თამაშში. თანაც მეტოქისგან ქულაც კი არ მიგვიღია, რაც დაცვაში ჩვენს კარგ და ყურადღებიან თამაშზე მეტყველებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია.

**— ამ სპარინგით ძალიან კმაყოფილი ჩანხართ?**

— ეს ბოლო საწვრთნელი მატჩი იყო მსოფლიოს თასის წინ და ასე მოგებული მატჩი ბიჭების ფსიქოლოგიურ განწყობაზე კარგად იმოქმედებს. არ დავმალავ, უკლებლივ ყველას კმაყოფილი ვარ. ჩემები მართლაც კარგ ფორმაში არიან.

**— ამ მატჩის შემდეგ რას აპირებთ?**

— ახლა ინგლისის ჯერია. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. მსოფლიოს თასამდე ისევ მონპელიეში ვიქნებით შეკრებაზე. თვის ბოლოს კი ავსტრალიაში ჩავფრინდებით.

**ბორჯღალოსანთა სასტარტო** ხამაშურიძე, მაჩხანელი, ი. გიორგაძე, ზიბზიბაძე, ურჯუკაშვილი, ჯიმშელაძე, აბუსერიძე, კოპალიანი, ა. გიორგაძე, მაგრაქველიძე, დიდებულიძე, მჭედლიშვილი, ლაბაძე, იაშვილი, ჩხაიძე

*შემცვლელები:* დადუნაშვილი, ბოლღაშვილი, კვირიკაშვილი, მოდებაძე, ელოშვილი, ხეხელაშვილი, ქავთარაშვილი, წიკლაური, ნადირაძე, შველიძე.

**არჩილ ჭუმბურიძე**

# ძმური ამბავი ფრანგულად

## ორი იაში ავსტრალიაში

*დიმიტრი იაშვილის ვარსკვლავის აკაშკაშებას დღეს მთელი სარაგბო საფრანგეთი ელის. 23 წლის დიმიტრი, ქართველი ემიგრანტის შთამომავალი, საქართველოს ნაკრების მორკინალ გრეგუარ იაშვილის უმცროსი ძმა, საფრანგეთის ნაკრების ლეგენდარული მორაგბის მიშელ იაშვილის შუათანა ვაჟია. დიმიტრი ფრანგული „ბიარიცის" და „მამლების" ლიდერია, ჯერაც ახალგაზრდა და საფრანგეთის ნაკრების საკმაოდ გამოცდილი კაპიტნის ფაბიენ გალტიეს მარქაფია. 1996 წლის ჭაბუკთა მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრებში მე-10 ნომერი წლეულს ნაღდ მსოფლიოს თასზე ითამაშებს ერთ-ერთ ფავორიტის საფრანგეთის სახელით. ასეთია დიმიტრის გზა, რომელსაც ქართველებთან და უფროს ძმასთან მოედანზე გადაყრა ჯერჯერობით არ უწერია. დიმიტრი იაშვილს გუშინ საფრანგეთში დავუკავშირდით...*



**— შენ პირველი მსოფლიოს თასის მოლოდინში ხარ, რას გრძნობ?**

— ჯერაც შეუჩვეველ სიხარულს, უმაღლესი რანგის ტურნირში მონაწილეობის შანსი რომ მომეცა. ბევრმა სახელოვანმა მორაგბემ ისე დაამთავრა კარიერა, მსოფლიოს თასზე თამაში არ ღირსებია.

**— მაგრამ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა ძალიან გაგიჭირდება. შენი კონკურენტი მსოფლიოს საუკეთესო მორაგბე ფაბიენ გალტიეა.**

— გალტიე უმაღლესი კლასის მორაგბეა, თანაც ნაკრების კაპიტანი, ასე რომ... ისე კი, იმედი მაქვს, მსოფლიოს თასზე რამდენიმე მატჩს მაინც ვითამაშებ. ყველაფერი მწვრთნელზე, ბერნარ ლაპორტზეა დამოკიდებული.

**— ისეთ ფორმაში ხარ, გალტიეს აჯობო და ლაპორტმაც ძირითად შემადგენლობაში ადგილი გაწდოს?**

— ავსტრალიისთვის მოსამზადებლად ნაკრებმა უკვე ბევრი მატჩი ჩაატარა. ზოგი კარგად, ზოგი ცუდად. ლაპორტმა აქედან სწორი დასკვნები უნდა გამოიტანოს. მან უკეთ იცის, ვის ენდოს და ვის არა. მე შემიძლია ვთქვა, რომ დღესდღეობით ძალიან კარგ ფორმაში ვარ. ბოლო სიტყვა კი ლაპორტზეა.

**— ამ უქმეებზე საფრანგეთის ნაკრები „პრეზიდენტ XV"-ის სახელით „ფრანგ ბარბაროსებს" ეთამაშა. იმ მატჩში ტრავმა მიგიღია.**

— ბარძაყი დამეჟეჟა, მაგრამ სერიოზული არაფერია. ახლა უკვე სრული დატვირთვით ვვარჯიშობ.

**— მატჩზე რას იტყვი...**

— ასეთი თამაშიდან რაიმე დასკვნების გამოტანა ძალიან ძნელია. მე შოუს უფრო დავარქმევდი. იოლი სპარინგივით იყო, რომელიც ჩვენ, საფრანგეთის ნაკრებმა 83:12 მოვიგეთ.

**— მსოფლიოს თასზე საფრანგეთის ნაკრებს რა შედეგი დააკმაყოფილებს?**

— მიზანი ჩემპიონობაა. ყველანი ბრძოლის ხასიათზე ვართ. იმედია, ავსტრალიაში ფორტუნა ზურგს არ გვანახებს.

**— მარტო ფორტუნას იმედად ვერ იქნებით, რადგან კარგად გახსოვთ, რომ წლევანდელი ექვსი ერი და ტესტ-მატჩები ჩააგდეთ...**

— ცხადია, ამან იმიჯი წაგვიხდინა მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ავსტრალიაში მეორეხარისხოვან ფავორიტებად ჩავალთ. საფრანგეთის ნამდვილი ძალა სწორედ მსოფლიოს თასსე გამოჩნდება.

**— ახლახან მამათქვენს ველაპარაკეთ. ავსტრალიაში ჩამოსვლას და შენი და შენი უფროსი ძმის გრეგუარის მატჩებს ნახავს აპირებს...**

— მამა ძალიან ამაყობს, რომ მისი ორი შვილი ითამაშებს მსოფლიოს თასზე. ორივეს ერთნაირიად გვქომაგობს, მაგრამ, ცხადია, საფრანგეთის ნაკრებან ერთად მე უფრო მეტი თამაში მოიწევს, ვიდრე გრეგუარს. მამას დიდი იმედი აქვს ჩემი და უბედნიერესი კაცი იქნება, მსოფლიოს თასს თუ მოვიგებთ.

**— გრეგუარმა ერთ ინტერვიუში თქვა, რომ მაისურის გასაცვლელად სასტუმროში მოგაკითხავს...**

— ამის შესახებ გრეგუარს ჩემთვის ჯერ არაფერი უთქვამს. კარგი იქნებოდა, ეს მოედანზე გაგვეკეთებინა, მაგრამ ამ მსოფლიოს თასზე ეს ვერ მოხერხდება, რადგან უმცირესი შანსია იმისა, რომ საფრანგეთი და საქართველო ერთმანეთს შეხვდნენ. სასტუმროში კი, თვითონ თუ არ მოვა, მე აუცილებლად მივალ მასთან და ჩემს მაისურას საქართველოს ნაკრებისაში გავუცვლი.

**— ხომ არ გერჩივნა, რომ შენ და გრეგუარს ერთ ნაკრებში გეთამაშათ?**

— ჩემი ოცნებაა, მე და გრეგმა ერთად ვითამაშოთ, მაგრამ ეს სანაკრებო დონეზე აღარ მოხერხდება. ამიტომ იმედი მაქვს რომ, კლუბში მაინც ვიქნებით თანაგუნდელები.

**— თქვენი უმცროსი ძმა შარლ ედუარდი შენთან ერთად „ბიარიცში" თამაშობს. რა პერსპექტივა აქვს?**

— შარლ ედუარდი ძალიან კარგი მორაგბეა, თუმცა ჯერ 17 წლისაა და „ბიარიცის" პირველ გუნდში ვერ ხვდება. იმედი მაქვს, რამდენიმე წლის შემდეგ უმაღლეს დონეზე ითამაშებს.

**— მეტსახელი თუ გაქვს?**

— კი, „იაშ"-ს მეძახიან.

**— აქ საქართველოში შენი წარმატება ბევრს გაეხარდება და გისურვებთ, რომ მსოფლიოს თასი აგეწიოს.**

— დიდი მადლობა. ძალიან გამიხარდა, რომ შემეხმიანეთ. რა თქმა უნდა, ჩემს ძმას და მასთან ერთად საქართველოსაც ვქომაგობ. იმედია, ქართული რაგბი კიდევ განვითარდება და მე და გრეგი ერთმანეთს მოედანზეც შევხვდებით.

**არჩილ ჭუმბურიძე**



VUELTA A ESPAÑA

ვუელტა

6 - 28 სექტემბერი

XVII ეტაპი 24 სექტემბერი

გრანადა - კორდობა 188 კმ



REUTERS კორდობადან

**1 დევიდ მილერი (ბრიტანეთი, კოფიდისი) 3 სთ 58 წთ 2 წმ**
**2 ალბერტო მარტინესი (ესპანეთი, ეუსკალტელი) + 36 წმ**
**3 ოსკარ სევილია (ესპანეთი, კელმე)**
**4 ოსა უნაი (ესპანეთი, იბანესტო)**
**5 მიქაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი) ყველა იგივე დრო**

# ოო, რა პეიზაჟებია!

## ტურისტმა მოიგო

**გრანადიდან** კორდობამდე მიხვეულ-მოხვეული 188 კილომეტრი ტრასა ვუელტას მეორე და ბოლო უგრძესი ეტაპი იყო. ამიტომაც მრბოლებს მაქსიმალური სიფრთხილე მართებდათ, რათა ძალები თანაბრად გაენაწილებინათ და ფინიშთან ენერგიის სამყოფი მარაგით მისულიყვნენ. ეს უფრო უსახელო სპრინტერებს ითქმის, თორემ საერთო ჩათვლის ლიდერებმა სიგრძით მეორე ტრასაზე კუნთების გადაწვას ათეულში ტრიალი ამჯობინეს, ამით საერთო ჩათვლაში პოზიციები შეინარჩუნეს.

ბრიტანელმა დევიდ მილერმა დიდთა ამპარტავნული სიზანტე მშვენივრად გამოიყენა და სპრინტერობაში მასპინძელთა ალბერტო მარტინესი, ოსკარ სევილია და ვინმე ოსა უნაი კაი გვარიანი სხვაობით დაჯაბნა. მილერი წლეულს ორჯერ ასულიყო პოდიუმის მე-2 საფეხურზე, ახლა კი, მესამე ცდიდან, ზემოდან დახედა მასპინძელთა ჯილებს.

— ესპანეთში რბოლა ძალიან სასიამოვნოა, აქ ისეთი პეიზაჟებია, რომ რბოლისას ტკბები კიდეც, თითქოს დაღლას ვერ გრძნობ. მე რეალისტი ვარ და ვიცი, რომ აქ პირველობის შანსი არ მაქვს, მაგრამ ვუელტას ერთი ეტაპის მოგებაც კი დიდ სტიმულს მაძლევს. ამიტომაც თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ ოქტომბერში, მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლებისთვის ვიბრძოლებ — განაცხადა მერე მილერმა.

**საერთო ჩათვლა**

**1 ისიდრო ნოსალი (ესპანეთი, ეროსკი) 58 სთ 11 წთ 53 წმ**
**2 იგორ გონსალეს გალდეანო (ესპანეთი, ეროსკი) + 3 წთ 3 წმ**
**3 რობერტო ერასი (ესპანეთი, US პოსტალი) + 3 წთ 9 წმ**

# ბოტანიკურ ბაღში



სქოთი მორაგბეები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადებიან. საამისოდ, რათა ბიჭებს გაუთავებელი ვარჯიშები არ მოჰყირჭდეთ, იქაური რაგბის მახვშებმა ისინი ედინბურგის ბოტანიკურ ბაღში შეუშვეს — 180 წლოვანი ეგზოტიკური მცენარეების გარემოცვაში ყოველდღიური მომაბეზრებელი პროცედურები უფრო ხალისიანი შესასრულებელი გამხდარა.



REUTERS

# რონალდინია

ამერიკაში ქალთა მსოფლიოს საფეხბურთო პირველობა რომ მიმდინარეობს, ეგ ამბავი ჯინძლო თქვენც უწყოდეთ. ეს ფეხებჩაკუნთული გოგო — მილენ დომინგუში — ამ პირველობაზე მონაწილეობს, თუმცა ჯერჯერობით — სამარქაფაო მოთამაშის რანგით. როგორც მისი მწვრთნელი ამბობს, ამ რანგს ტურნირის ბოლომდე შეცვლა ეგრეც არ უწერია. აქ მხოლოდ მისი ქმრის გამო ჩამოვიყვანე, სარეკლამოდ და სარამერუმოდო. ჰო, მართლა — ამ გოგოს მისი ქმრის ხათრით რონალდინიას ეძახიან... ეს ის შემთხვევაა, როცა ძახილით ვერც ხე ხმება და ვერც გოგო იწყებს კარგად თამაშს.



REUTERS




REUTERS

# მანილოსნები

აზიის მე-15 სამძლეოსნო პირველობა გაჩაღებულა ფილიპინის სატახტო მანილაში. ჩინელი ჟუჟუ ვანი 2,23 მეტრზე გადებულ თამასას გადაევლო და სიმაღლეზე ხტომაში გაჩემპიონდა. ეს ემხიანი ოთხეული კი ტაილანდიდანაა — ჯუკამას ტავონჩმროენმა, ორანუტ კლომდეემ, ნონგნუჩ სანრატმა და სანგვან ჯაკსუნმა 4X100 ესტაფეტა მოიგეს და ნაესტაფეტევს კამერებს ჩაუღიმილდნენ.




REUTERS

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ძვოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge